შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (9.999)

1-8 ნოემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„წყალი, ჰაერი და სისუფთავე ჩემი აფთიაქის უმთავრესი ინგრედიენტებია“

„წყალი, ჰაერი და სისუფთავე ჩემი აფთიაქის უმთავრესი ინგრედიენტებია“
ნაპოლეონ ბონაპარტე

შემოდგომაა. ულამაზეს ფერებში გახვეულა გუნება. ხეების მწვანე სამოსს ფერი უცვლიათ და შემოდგომისფრად აყვავებულან. ქარი ქარვისფერ და მოწითალო ფოთლებს ხეებს აცლის. მიწას ფერადი ხალიჩა ეფინება.

ეზოებში ტალავერიდან ჩამოცვენილ ფოთლებს აგროვებს ესმა. შემდეგ ის ქუჩაში გამოაქვს და ცეცხლს უკიდებს. გარშემო არასასიამოვნო სუნით იჟღინთება გარემო. სუნის გარდა ფოთლების ნამწვი საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ეს ესმამ ჯერ არ იცის.

ფოთლების დაწვა რომ ზიანის მომტანია, ამის შესახებ რამდენიმე წლის წინ გაიგო ვაჟამ. ამიტომ მან ბუნებრივი ნარჩენის მართვის საკუთარი გზა იპოვა. მოგროვილ ფოთლებს არც ყრის, არც წვავს - ერთად აგროვებს, ბიოსასუქად გარდაქმნის და ბოსტნეულის მოსაყვანად ნიადაგის გასამდიდრებლად იყენებს. ვაჟა ამასვე ურჩევს სხვებს.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის წარმომადგენელი დედოფლისწყაროში **ამირან კოდიაშვილი** გვიხსნის, რომ მცენარეების, ფოთლების დაწვისას კანცეროგენული ნივთიერებები გამოიყოფა, რომელიც ჯერ ჰაერში ხვდება, შემდეგ კი წვიმის გზით - ნიადაგში. შესაბამისად, ბინძურდება ჰაერიც და ნიადაგიც.

ამირან კოდიაშვილი: „ნარჩენების გადაწვის თემა, სამწუხაროდ ის საკითხია, რომელიც წლიდან წლამდე მეორდება და, ეგრეთ წოდებული გადაწვის სეზონის დაწყებასთან ერთდ, თანდათან იძენს აქტუალობას. ჩამოიყრის თუ არა ფოთოლს ქუჩაში თუ ეზოში არსებული ხეები, იქმნება მათი თავიდან მოშორების პრობლემა. ნარჩენების მართვის კუთხით ფოთლების და სხვა ორგანული ნივთიერებების (ნაკელი, ნამჯა) დაწვა, მოსახლეობაში აღიქმება, როგორც უვნებელი, სრულიად ბუნებრივი საქმიანობა. ,,ფოთოლი უნდა დავწვა, აბა სხვა როგორ მოვიშორო თავიდან“- გაიგონებთ ხშირად ეზოში თუ ტროტუარებზე მოფუსფუსე დიასახლისებისაგან. სინამდვილეში კი ფოთოლების და სხვა ნარჩენების დაწვა დროის მცირე მონაკვეთში, ბევრად მეტ ზიანს აყენებს გარემოს და შესაბამისად ამ გარემოში მცხოვრებ ცოცხალ არსებებს, პირველ რიგში კი ადამიანებს, ვიდრე თუნდაც მანქანის გამონაბოლქვი. საქმე იმაშია, რომ მანქანების გამონაბოლქვიდან თვეების მანძილზე (გაზაფხულიდან შემოდგომამდე) ფოთლებზე ილექება ტყვია, რომელიც ფოთლების წვის დროს სხვა მავნე მინარევებთან ერთად გაიფრქვევა ჰაერში და ხვდება ადამიანების ფილტვებში. ეს ნივთიერებები აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კარცეროგენი. ის იწვევს კიბოს, მოწამვლას, საშინელ ზეგავლენას ახდენს ემბრიონზე, ამიტომ განსაკუთრებულად უნდა მოერიდონ ასეთი ბოლის ჩასუნთქვას ორსული ქალბატონები. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ჩვენივე ხელით, ისე რომ არც კი გავიაზრებთ, ვიზიანებთ ჯანმრთელობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობას ვურყევთ უამრავ სხვა ადამიანს. დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი წუხდება მეზობლების მიერ დამწვარი ფოთლებისგან მომდინარე ბოლით, მაგრამ ძალიან ერიდებათ შენიშვნის მიცემა, რათა არ გაანაწყენონ ისინი. აუცილებელია, ავუხსნათ ადამიანებს, რომ ამით ისინი სხვის ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს აყენებენ. სიგარეტის კვამლი არაფერია იმ საშინელებასთან შედარებით, რასაც თავისთავში მოიცავს დამწვარი ფოთლების კვამლი, ამიტომ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, არ დავწვათ ფოთლები! მითუმეტეს, რომ ნარჩენების გატანის სერვისი დედოფლისწყაროში საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა სამსახურებმა ასეთ დროს გაზარდონ ნაგვის ბუნკერებიდან ნარჩენების გატანის ჯერადობა, რათა მოსახლეობამ არ დაწვას ფოთოლი და ბუნკერში მოათავსოს ასეთი ტიპის ნარჩენები“.

ნარჩენების მართვის კოდექსით, ფოთლების დაწვა, თუნდაც საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, 200-დან 500 ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს სანქცია პრობლემას სრულად ვერ აგვარებს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ნარჩენების მართვის კოდექსით მინიჭებული საჯარიმო სანქციების აღსრულება დედოფლისწყაროს ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციაა, მაგრამ იმის გამო, რომ ცხელ ხაზზე არავინ რეკავს, ჯარიმა ჯერ არ დაწერილა.

მერიაში კი აცხადებენ, რომ ამ კუთხით მეტი ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლების გზით სვლაა საჭირო, რათა მოსახლეობის შეგნების დონე ამაღლდეს და თითოეულმა ადამიანმა გაიგოს, რომ ფოთლების დაწვა, შესაძლოა, პრობლემის მოგვარების მარტივი გზაა, მაგრამ ის ჩვენს ჯანმრთელობაზე გადის.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტ ტატო ირემაძის თქმით, ფაქტების გამოვლენა არ არის პრობლემა, რთულია ადამიანების დაჯარიმება - კონკრეტული შეტყობინების საფუძველზე გასული სწრაფი პატრულირების თანამშრომლები ცეცხლის კერებს ნახულობენ, მაგრამ ადგილზე არ ხვდებიან ის პირები, რომლებმაც ფოთლებს ცეცხლი წაუკიდეს. შესაბამისად, ვერ ხერხდება კანონდამრღვევ პირთა გამოვლენა. ტატო ირემაძე ამბობს, რომ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებაზე გარემოს დაცვის სამინისტრო უკვე მუშაობს. მათ შორის, იგეგმება ჯარიმების ოდენობის გაზრდაც. **ტატო ირემაძის** თქმით, წელიწადში დაჯარიმებულთა რაოდენობა 200-დან 300-მდე მერყეობს.

საქმე იმაშია, რომ, როდესაც მშრალი ფოთლები და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენები იწვება, მცენარეული ნარჩენების 1 ტონა კვამლი ატმოსფეროში 9 კგ მიკრონაწილაკს გამოიმუშავებს, რომლებიც აზოტის ოქსიდთან (N2O) ურთიერთქმედებაში სმოგს ქმნის. სმოგი ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათოა, იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ინსულინი, ბრონქიალური ასთმა, ქვედა სასუნთქი გზების ინფექცია, ფილტვებისა და ყელის კიბო. თუკი ფოთლებთან ერთად პლასტიკური შეფუთვა ან პოლიეთილენის ბოთლებიც იწვება, წარმოიქმნება რიგი ტოქსინებისა, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის, ღვიძლის და სხვა შიდა ორგანოების მუშაობაზე მოქმედებს. ბავშვის ორგანიზმისთვის სმოგი 6-ჯერ უფრო სახიფათოა. უტილიზაციის მსგავსი ხერხი წამლავს ჰაერსაც და ნიადაგსაც, მცირდება ჟანგბადის რაოდენობა, ამიაკის და მეთანის რაოდენობა კი იზრდება. ფოთლების გადამუშავების ორი ხერხი არსებობს: ფოთლების ერთ ადგილას მოგროვება და ეკოლოგიური სასუქის გაკეთება, ან უბრალოდ მიწაზე დატოვება, რომელიც დალპება და თავისით წარმოქმნის ბუნებრივ სასუქს. ახალქალაქში ფოთლების წვა ნარჩენების უტილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, მოსახლეობამ არ იცის, რომ საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი ფოთლების, ბაღის ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების წვისთვის 200 ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. უმეტეს შემთხვევაში, ხალხმა არაფერი იცის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგებზე და, მითუმეტეს, ჯარიმებზე.

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

„ჩვენი მიზანია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“

„ჩვენი მიზანია თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე საქართველოს დემოკრატიული პროცესების მიმართ ევროპარლამენტის ჩართულობა და მტკიცე მხარდაჭერა არსებითად მნიშვნელოვანია.

„საქართველო საარჩევნო პროცესის მე-2 რაუნდის ფარგლებში ევროპარლამენტის დაინტერესებას და მხარდაჭერას აფასებს. ჩვენი მიზანია თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე საქართველოს დემოკრატიული პროცესების მიმართ ევროპარლამენტის ჩართულობა და მტკიცე მხარდაჭერა არსებითად მნიშვნელოვანია“,- წერს ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

ტაქსებში თამბაქოს მოხმარება აიკრძალება - პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა უკვე მომზადდა

ტაქსებში თამბაქოს მოხმარება შესაძლოა აიკრძალოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა უკვე მომზადდა, რომლის განხილვაც პარლამენტში სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ დაიწყება.

კანონპროექტის სამუშაო ვერსიის თანახმად, იგეგმება, რომ ტაქსებში მოწევა ყველა შემთხვევაში და ყველა პირობის გარეშე აიკრძალოს, რადგან გარკვეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ტაქსის მძღოლებიც შეწუხებული არიან, რომ მგზავრი ეწევა და პირიქით ხდება მგზავრის შემთხვევაში, თუ ტაქსის მძღოლი ეწევა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ შეზღუდვაზე „ბიზნესპრესნიუსი“ ჯერ კიდევ აპრილში წერდა. აღნიშნული ინიციატივა მაშინ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობის თაობაზე, პარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ დადგენილებაში იყო გაცხადებული.

როგორც დოკუმენტში იყო აღნიშნული, გამოკითხვებისა და ზეპირი მოსმენის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. მათ შორის, პარლამენტის დადგენილებაში საუბარია, იმაზე, რომ ტაქსებსა და მსუბუქ ავტომობილებში თამბაქოს არასრულწლოვანთა თანდასწრებით მოხმარების აკრძალვის დაწესებაზე მსჯელობის დაწყება დროულია და მისი დაწესება გააძლიერებს თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებს.

70 ევროს სანაცვლოდ - ყალბი კოვიდ პასპორტი

70 ევროს სანაცვლოდ ყალბი ე.წ.კოვიდ პასპორტის დამზადების ფაქტზე 9 პირი პასუხისგებაში მისცეს. აღნიშნულ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„საგამოძიებო სამსახური აგრძელებს აქტიურ ღონისძიებებს ყალბი კოვიდ-პასპორტებისა და კორონავირუსის ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტების დამამზადებელ და გამომყენებელ პირთა გამოვლენა-მხილების მიზნით.

საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთის რეგიონში გამოვლენილია აღნიშნულის სახის დანაშაულის ორი ფაქტი, რაზეც პასუხისგებაში მიეცა 9 პირი, მათ შორის ერთი დაკავებულია. გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა, ქ. თბილისში მდებარე ტურისტულ კომპანიაში, კოვიდვაქცინაციის გარეშე საზღვარგარეთ გამსვლელი მგზავრებისათვის გათვალისწინებული სავალდებულო კარანტინისაგან თავის არიდების მიზნით, მოქალაქეს დაუმზადა ორი ერთეული ყალბი ე.წ. კოვიდ-პასპორტი, თითოეული 70 ევროს სანაცვლოდ, რომელშიც შეიტანა ყალბი მონაცემები დოკუმენტის მიმღები პირის მიერ ჩატარებული კოვიდვაქცინაციის სრული კურსისა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების უარყოფითი შედეგების თაობაზე, რის შემდეგაც დოკუმენტები დაამოწმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სახლის ყალბი, კუსტარულად დამზადებული სველი ბეჭდით.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა, როგორც ხსენებული ყალბი დოკუმენტები და ბეჭდები, ასევე, სხვა მოქალაქეებზე გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი კოვიდ-პასპორტები და მათ დასამზადებლად გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკა.

მეორე შემთხვევაში კი, იმერეთის რეგიონში მხილებულ იქნა რვა პირი, რომლებმაც, სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის რეგულაციებისათვის თავის არიდების მიზნით, შეიძინეს და გამოიყენეს თითქოსდა სამედიცინო დაწესებულებების სახელით გაცემული კორონავირუსის PCR ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტები“, - ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

გურჯაანში მიუსაფარი, შინაური ცხოველების მართვის ინტერმუნიციპალურმა სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო

გურჯაანში მიუსაფარი, შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურმა სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო

გურჯაანში მიუსაფარი, შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურმა სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო. სააგენტო ოფიციალურად გახსნეს - კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი შიოშვილმა და პარლამენტის წევრმა, დავით სონღულაშვილმა. შემოღობილ ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული და კარანტინის შენობები, ვეტერინარული კლინიკა, ლაბორატორია და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

მიუსაფარ ცხოველთა მართვის რეგიონულ სააგენტოში იმუშავებს 24-საათიანი „ქოლცენტრი“, რომლის მეშვეობით მოხდება გამოძახება ცხოველთა გადასაყვანად. სტერილიზაციის გარდა, მიუსაფარ ცხოველთა მართვის კახეთის სააგენტოს ფუნქციებში შევა - ცხოველის პატრონის დადგენა ან ახლის მოძიება. ასევე, ცხოველთა ზრუნვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

კახეთის რეგიონში მიუსაფარ ცხოველთა სიმრავლის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას და მათი რიცხვი რეგიონში 10 ათასზე მეტია.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განახორციელა. ინტერმუნიციპალური, მიუსაფარ ცხოველთა კახეთის სააგენტოს აშენება 2 მილიონ ლარამდე დაჯდა.

საგამოცდო მანქანების ავტოპარკი განახლდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში საგამოცდო მანქანების ავტოპარკი განახლდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მართვის უფლების მიღების მსურველები „B“ კატეგორიის პრაქტიკულ გამოცდას თანამედროვე, GPS სისტემით აღჭურვილი, „SKODA RAPID“-ის მოდელის სატრანსპორტო საშუალებებით აბარებენ.

„მომსახურების სააგენტომ, ინფრასტრუქტურისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სადაც პრაქტიკული გამოცდების ჩაბარებაა შესაძლებელი, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური სამუშაოები ეტაპობრივად განახორციელა. 2021 წლის დასაწყისში, საწყის ეტაპზე, მხოლოდ რუსთავისა და გორის სტრუქტურულ ერთეულებში ჩანაცვლდა ძველი საგამოცდო მანქანები ახლით, ცოტა ხნის წინ კი ავტოპარკი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულში განახლდა“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

კახეთში ეპიდსიტუაცია ყოველდღიურად უარესდება

კახეთის რეგიონში ეპიდსიტუაცია გაუარესებულია. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, რეგიონი დადებითობის მაჩვენებლით პირველ ადგილზეა, ხოლო ინფიცირების მიხედვით თბილისის და იმერეთის რეგიონის შემდეგ პირველი.

ბოლო 24 საათში რეგიონში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა 427-ით გაიზარდა. დაკეტილია საბავშვო ბაღების და სკოლების უმრავლესობა.

ინფიცირებულთა რიცხვის ზრდის გამო, რეგიონში კოვიდ კლინიკებში და ბავშვთა საავადმყოფოებში ადგილები აღარ არის.

***

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში არსებული კოვიდსტატისტიკა არცთუ სახარბიელოა. ერთი კვირის მონაცემებით დედოფლისწყაროში კოვიდ-19-ის 150 შემთხვევა დაფიქსირდა, სტაციონარში მკურნალობს 40 პირი, თვითიზოლაციაში იმყოფება 475 ადამიანი.

დედოფლისწყაროში გამოვლენილია სულ კოვიდინფიცირების 3686 ფაქტი, მათ შორის 2021 წელს-3019, აქედან გამოჯანმრთელდა 3247 პირი, გარდაიცვალა-52.

„დედოფლისწყაროში კოვიდსიტუაცია კვლავ მძიმეა. მოვუწოდებთ მოსახლეობას, აიცრან კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინით და შეასრულონ ყველა რეკომენდაცია, რაც პანდემიის პერიოდში ვირუსისგან დაგვიცავს - ატარონ პირბადე და დაიცვან დისტანცია. გაუფრთხილდნენ როგორც საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე გარშემომყოფების და მაქსიმალურად შეიკავონ თავი საკარანტინო წესების დარღვევისაგან იმ პირებმა, რომლებიც ინფიცირებულები ან მათი კონტაქტები არიან“- აცხადებენ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში.

პროექტი ,,დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროექტი „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება. პროექტის მიზანია, მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს 2022 წლის ბიუჯეტში 100 000 ლარია გათვალისწინებული და ამ თანხით მოქალაქეთა 2 ინიციატივა დაფინანსდება, რომელსაც მოსახლეობა კენჭისყრის შედეგად შეარჩევს. დედოფლისწყაროში რეგისტირირებულ 18 წლის ასაკიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო 30 აგვისტომდე საპროექტო წინადადება წარედგინა მერიისთვის, თუ რის გაკეთება სურდა მის დასახლებაში. სულ 41 საპროექტო წინადადება დარეგისტრირდა. მერიაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები და კენჭისყრის ეტაპზე გადასვლის რეკომენდაცია მისცა იმ იდეებს, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ შემდეგ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა, კერძოდ: საპროექტო წინადადება უნდა განხორციელებულიყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; უნდა ყოფილიყო თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებების ფარგლებში; მის განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხა უნდა ყოფილიყო 50 000 ლარის ფარგლებში, წინადადებით შემოთავაზებული პროექტი არ უნდა ყოფილიყო მიმდინარე, ან ისედაც გათვალისწინებული ბიუჯეტში და მისი განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მოქალაქემ ერთ დასახლებულ პუნქტში განსახორციელებლად იდენტური იდეები წარმოადგინა, ამიტომ ასეთი წინადადებები გაერთიანდა და საბოლოოდ კენჭისყრაზე 16 პროექტი გადავიდა.

ამ ეტაპზე შერჩეული ინიციატივების ელექტრონული კენჭისყრა მიმდინარეობს, რომელიც 31 ოქტომბრამდე გაგრძელდება. გამარჯვებული პროექტი დამუშავდება და 2022 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ხმის მიცემა მხოლოდ დედოფლისწყაროში რეგისტრირებულ 18 წლის ასაკიდან მოქალაქეს შეუძლია. კენჭისყრის ბმული და პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ დედოფლისწყაროს მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი და FACEBOOK გვერდი, ასევე სპეციალურად პროექტისთვის შექმნილი გვერდი: „დაგეგმე შენი ბიუჯეტი - დედოფლისწყარო / Dedoplistskaro.

ჩაგვრა, როგორც მოზარდის თვითგამოხატვის საშუალება?

ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის 13 წლის მოსწავლე თანატოლებმა სცემეს, აღნიშნულის ამსახველი ვიდეო გადაიღეს, შემდეგ კი გადაღებული ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელეს.

ბათუმში მოზარდების მიერ მოზარდის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს" უწყებაში განუცხადეს, მოზარდები უკვე გამოკითხეს. „შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, როგორც კი ცნობილი გახდა ფაქტის შესახებ, დაუყოვნებლივ დაიწყო საგამოძიებო ღონისძიებები. ჩატარდა გამოკითხვები, მათ შორის არასრულწლოვნების. საგამოძიებო მოქმედებები კანონის სრული დაცვით - მშობლებთან და სოცმუშაკთან ერთად ჩატარდა. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით", - აცხადებენ უწყებაში.

მსგავსი შემთხვევების შესახებ ხშირად თუ არა, პერიოდულად მაინც გვესმის ხოლმე. ბავშვებზე განხორციელებული ძალადობა ისევ მათივე თანატოლების მხრიდან, ხშირად შეუმჩნეველი და უთქმელიც კი რჩება, რადგან ხშირად ბავშვებს/მოზარდებს არ სურთ, ერიდებათ, ეშინიათ ანდაც თავს სუსტად მიიჩნევენ და არ ახმაურებენ მათზე ზემოქმედებისა თუ ძალადობის ფაქტებს. სასკოლო და ზოგადად, ბულინგი, ჩაგვრის ერთ-ერთი და ამავდროულად, სპეციფიკური ფორმაა. მასზე უფროსი თაობაც არ ლაპარაკობს, რადგან ბულინგს ისინი სხვა სახელს, კონკრეტულად კი ბავშვურ ცელქობას არქმევენ. საკითხს კი რეალურად რომ შევხედოთ, ბულინგი საკმაოდ სერიოზული საკითხია, რაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ბავშვების ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. საჭიროა, რომ დაისვას შესაბამისი კითხვები: რა არის ბულინგის გამომწვევი რეალური მიზეზები, ვინ შეიძლება გახდეს მოძალადე ან მსხვერპლი, როგორ ირჩევენ ისინი მსხვერპლს, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, საზოგადოების წევრებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა, რომ ბულინგი კვლავ შეუმჩნეველ და ტაბუირებულ თემად არ დარჩეს და ის შეამჩნიონ? ონლაინ გამოცემა „ესკიმოსთან" მიცემულ ინტერვიუში ამ კითხვებს ფსიქოლოგი ელენე მაღრაძე პასუხობს:

რა არის ბულინგი და რამდენად საშიში ტენდენციაა იგი ქართული სკოლებისთვის?

- ბულინგი არის რეგულარული ხასიათის მქონე მიზანმიმართული, სასტიკი ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური მოპყრობა, ჩაგვრა. მჩაგვრელი, შეიძლება იყოს ინდივიდი, ან ბავშვების მთელი ჯგუფი. ბულინგის შემთხვევებს შეიძლება ყველგან გადავაწყდეთ: ნებისმიერ ქვეყანაში, კულტურაში, სოციუმსა თუ გარემოში. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ხშირად სკოლა ზუსტად ის ადგილია, სადაც ბულინგისთვის ყველაზე ხელსაყრელი სიტუაციები იქმნება. არსებობს პირდაპირი და ფარული ბულინგი. პირდაპირი ბულინგი: ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცხყოფას, დასცინიან, ურტყამენ და ა.შ ფარული ბულინგი: აგრესია ღიად არ არის გამოხატული, მაგრამ ბავშვს პასუხს არავინ სცემს, არ ესალმებიან, თამაშში ჩართვის უფლებას არ აძლევენ და ა.შ. ეს ყოველივე ერთჯერადი აქტი არაა და იგი დროის გარკვეულ პერიოდში მეორდება. ბულინგი ხშირად უფროსთა თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება ან არ ხდება მისი სწორი სახელდება. ამის გამო ვერ ხერხდება მისი დროული ამოცნობა და შესაბამისად, შემდგომი მართვა. ხშირად მშობლები და მასწავლებლები ბულინგს სერიოზულად არ აღიქვამენ და მას ბავშვურ ჩხუბს ან ცელქობას არქმევენ. ამგვარად ისინი აფიქსირებენ პოზიციას: „ბავშვები თავიანთ საქმეს თვითონვე მოაგვარებენ". რა თქმა უნდა, ზოგჯერ ასეც ხდება, თუმცა, არის სიტუაციები, როდესაც ბულინგი სახეზეა და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. თუკი უფროსებს ბულინგზე უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ და პრობლემის არსებობას აღიარებენ, მაშინ მის დროულ აღმოჩენასა თუ მოგვარებასაც შეძლებენ.

რატომ ჩაგრავენ ბავშვები ერთმანეთს და ვინ შეიძლება აღმოჩნდეს მსხვერპლი?

- ბულინგს რაღაც სერიოზული მიზეზი არ სჭირდება და მისი მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ბავშვი, რომელიც სხვებისგან განსხვავებულია. რისკ-ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ ინდივიდები, რომელთაც უჭირთ კომუნიკაცია და სოციალური უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. ბულერების/მჩაგვრელების შემთხვევაში ქცევას საფუძვლად ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ისინი შესაძლოა თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი სხვა გარემოში (ოჯახში, ეზოში და ა.შ.). ბავშვს, რომელსაც ამცირებენ ან აშინებენ, თავისი დათრგუნული ემოციები ზოგჯერ თანატოლებზე გადმოაქვთ. ჩაგვრის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ოჯახში ემოციური კავშირისა და სითბოს ნაკლებობა ან უბრალოდ სახეზე გვქონდეს სხვებისგან

გადმოტანილი ქცევა, „გართობა", დაბალი თვითშეფასება და ამ ქცევებით მისი გადაფარვის მცდელობა, ყურადღების მიქცევა და ა.შ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დახმარება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ასევე ბულინგის გამტარებელსაც სჭირდება. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ უფროსები, გარდა იმისა რომ ბულინგის მიმართ ზოგჯერ გულგრილები არიან, ხშირად მის პროვოცირებას თავად ახდენენ. მაგ: მასწავლებელი, რომელიც ბავშვს კლასის წინაშე ამცირებს, არქმევს მას ზედმეტსახელს და ა.შ. მშობელი, რომელიც ხედავს, რომ მისი შვილი სხვას ჩაგრავს და ამას ბავშვურ ცელქობას ეძახის. ანდა პირიქით: სერიოზულად არ აღიქვამს შვილის მონათხრობ პრობლემას, მის დათრგუნულ მდგომარეობას და რეალური დახმარების ნაცვლად მას თავადვე არცხვენს: „შენ რა, თავს ვერ იცავ? ", „მშიშარა ხარ? "„სხვებს თუ არ დასცინიან, შენ რატომ გიბედავენ ამას?" და ა.შ. ასეთი დამოკიდებულების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბავშვი თავისი პრობლემების შესახებ აღარ საუბრობს და ეტაპობრივად სიტუაციაც უფრო და უფრო მძიმდება. არის შემთხვევებიც, როდესაც მშობლები შვილებს ძალადობისკენ თვითონვე უბიძგებენ, რაც ზოგადად ძალადობის ნორმალიზებას იწვევს და ხშირად სწორედ ეს ხდება ბულინგის მიზეზი.

როგორ უნდა ამოიცნოს მშობელმა, რომ მისი შვილი ბულინგის მსხვერპლია?

- რაც უფრო მეტად აქვს ბავშვს მშობლების ნდობა და მათთან ემოციური კავშირი, მით უფრო ადვილია მშობლისთვის იმის შემჩნევა, ბავშვი მსხვერპლია თუ მჩაგვრელი. ბულინგის მსხვერპლ ბავშვებს ხშირად აღარ უნდათ სკოლაში სიარული, რის გამოც იგონებენ სხვადასხვა მიზეზებს, აღარ იჩენენ ინიციატივას, არიან დათრგუნულები, გაღიზიანებულები, დაქვეითებული აქვთ მოტივაცია, განიცდიან მეგობრების ნაკლებობას, უარესდება მათი აკადემიური მოსწრება, გაურბიან სკოლაზე საუბარს. ასეთ დროს ბავშვებს ყველაზე მეტად მშობლების მხარდაჭერა და მათი გვერდში დგომა სჭირდებათ.

როგორ უნდა ავამაღლოთ ცნობიერება ბულინგის საფრთხეების და ზიანის შესახებ?

- პირველ რიგში უნდა მოხდეს პრობლემის აღიარება და მისი სახელდება, ხოლო ამის შემდეგ - რეაგირება. ნებისმიერი უფროსი, რომელიც ბულინგის შემსწრეა და მასზე არ რეაგირებს, ზუსტად ისეთივე დამნაშავეა, როგორც მჩაგვრელი. აუცილებელია, რომ ეს პასუხისმგებლობა თითოეულმა ჩვენგანმა კარგად გავაცნობიეროთ, რათა ეს ქცევა აღარ იყოს ნორმალიზებული არც ჩვენთვის და არც ბავშვებისთვის. აუცილებელია, რომ მშობლებში, მასწავლებლებსა და ზოგადად სოციუმში წახალისებულ იქნეს პოზიტიური ურთიერთობის მოდელი და არა ძალადობრივი კომუნიკაცია. რა თქმა უნდა, ამის მისაბაძი მაგალითები პირველ რიგში თავადვე უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა შევთავაზოთ და ვასწავლოთ ბავშვებს ის ყველაფერი, რასაც მათგან ვითხოვთ.

რა შემთხვევაში უნდა მივმართოთ სპეციალისტს (ბავშვთა ფსიქიატრს / ფსიქოთერაპევტს), თუ ბავშვი ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდა?

-თუ მშობელი გაერკვევა სიტუაციაში და აღმოაჩენს, რომ ბავშვი ბულინგის მსხვერპლია, რა თქმა უნდა, მას მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს. ბავშვებმა პირველ რიგში უნდა იცოდნენ, რომ მარტონი არ არიან, მათ გაუგებენ და დაეხმარებიან, არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემა, მშობელთან საუბარი ყველაფერზე შეიძლება და ხანდახან თავის დაცვა ყველას არ შეუძლია, რაშიც სამარცხვინო არაფერია. ასეთ დროს კვალიფიციური სპეციალისტის დახმარება არათუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კი არის.

ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა თუ სპეციალობის ადამიანი გამოვკითხეთ. აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანი მაინც მშობლების ყურადღების მნიშვნელობასა და ბავშვთან მეგობრულ ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას.

მარიამ ბატიაშვილი, 18 წლის, სტუდენტი: „ზოგადად ბულინგი არამარტო სკოლაში არამედ ყველგან შეიძლება მოხდეს. ჩვენს სკოლაში ბულინგი ნაკლებად იყო, მე პირადად არ შევსწრებივარ ასეთ რამეს, თუმცა ქალაქის სკოლებში, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ბულინგის მსხვერპლ ბავშვთა არც ისე ცოტა რაოდენობაა. ვფიქრობ, ძირითადად, ეს ის ბავშვები არიან ვისაც გარკვეული სახის კომპლექსი აქვთ და არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგება. ასევე არიან შშმ პირებიც, რომლებიც ასე თუ ისე არიან მაინც ბულინგის მსხვერპლნი. უნივერსიტეტი ახალი დაწყებული მაქვს, ჯერ არავიცი რა მდგომარეობაა ბულინგთან დაკავშირებით, მაგრამ ვფიქრობ, ნაკლები უნდა იყოს, რადგან ეს ისეთი საზოგადოებაა, რომ დარწმუნებული ვარ თანამედროვე ბავშვებს გააზრებული ექნებათ ეს თემა. ბულინგის დროს, თუ ის სკოლაში მოხდა, ბავშვმა მასწავლებელი უნდა ჩართოს საქმის კურსში, დირექტორი და რა თქმა უნდა, მშობელიც, თუ უნივერსიტეტში ხდება, ამ შემთხვევაში დეკანატი და ადამიანთა უფლება დამცველი, რომელიც მის უფლებებს დაიცავს და ბულინგის წამომწყებს გააგებინებს რომ მსხვერპლი მარტო არაა. ფსიქოლოგი იმ შემთხვევაში არის საჭირო თუ ბულინგის წამომწყებს აქვს რაიმე ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა. ბულინგი, ჩემი აზრით, მოდის ოჯახური მდგომარეობიდან, როდესაც ბავშვი იზრდება ისეთ გარემოში, სადაც სითბოს და სიყვარულს ვერ იღებს. ბავშვების უმეტესობა ბულინგს ეჩვევა მშობლისგან, როდესაც მშობელი ბავშვზე ძალადობს ან სხვა პირზე და ამას პატარა უყურებს. მასაც დარწმუნებული ვარ უჩნდება ის აზრი, რომ სხვა ადამიანების ჩაგვრა დაშვებულია. ასევე ბულინგის წამომწყები ის ადამიანი მგონია, რომელიც თვითონ იყო ერთ დროს ბულინგის მსხვერპლი. ბულინგის შემსწრე ვალდებულია დაიცვას მსხვერპლი ბულინგისგან, რადგან, ჩემი აზრით,თუ ესე არ მოხდა ისიც ისეთივე მჩაგვრელი და ბულინგის მონაწილე იქნება, როგორც სხვა იქ მყოფი მოძალადე."

სალომე ალადაშვილი, 23 წლის, ფსიქოლოგი: „უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ, რა არის ბულინგი და რას გულისხმობს ის. ბულინგი ანუ დაშინება გულისხმობს ფიზიკურ ან სოციალურ ძალას, რომელიც იწვევს შიშსს ამ მწუხარებას, ან ანადგურებს ადამიანის მორალსა თუ მის რეპუტაციას. საქართველოში ყოველწლიურად იმატა ბულინგის შემთხვევებმა, როგორც ზრდასრულებში, ისე ბავშვებში, რაც, რა თქმა უნდა, ცუდად აისახება ჩვენს საზოგადოებაზე. ბავშვებში ბულინგმა ანუ დაშინებამ შეიძლება გამოიწვიოს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, სკოლაში წარუმატებლობა, ანდაც მიგვიყვანოს ყველაზე მტკივნეულ თემასთან - სუიციდთან. ბულინგმა შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი ფიზიკური პრობლემებიც. აქედან გამომდინარე ბულინგი მეტად რთული თემაა, რომელსაც ყველა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

საბედნიეროდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბულინგის არიდება და შეწყვეტა შესაძლებელია, თუმცა, მარტივი ნამდვილად არ არის. ამაში თანაბრად უნდა იყოს ჩართული როგორც ფსიქოლოგი, ასევე მშობელი და თითოეული ადამიანი, ვისაც სკოლასთან რაიმე შეხება ჰქონია ან აქვს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ თითოეულ ბავშვს, რომ სამყაროში ყველა ადამიანი თანასწორია, აქედან გამომდინარე, ავიცილებთ, იმ სავალალო შემთვევებს, რაც ფიქსირდება ყოველწლიურად ბულინგის შედეგად. გვახსოვდეს, რომ ვიყოთ თავდაჯერებულები, პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრს და ვიცხოვროთ ერთ სივრცეში, ყველამ თანასწორად, ამის შედეგად კი აუცილებლად აღმოვფხვრავთ ჩვენს საზოგადოებაში მჩაგვრელთა უზარმაზარ არმიას."

ლელა, 16 წლის, მოსწავლე: „ჩემი აზრით, ბულინგი ერთ-ერთია იმ უამრავ მოვლენათაგან, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში მუდმივად თავს იჩენს. ჩვენს გარშემო უამრავი „დაკომპლექსებული" და „პრობლემატური" ადამიანია, რომლებიც ამ პრობლემისგან თავის დაღწევას სხვისი დაბულინგებით და დაჩაგვრით ცდილობს, ასეთი შემთხვევები ძირითადად მოზარდებში, ბავშვებშია. ბულინგს, უპირველესად, ისეთი ბავშვები იწვევენ, რომლებსაც საკუთარ თავზე ე.წ „დიდი წარმოდგენა აქვთ" (ეს ძირითადად მშობლების ბრალია), ჰგონიათ რომ ვინმეზე ძლიერები არიან და მათი დაჩაგვრა შეუძლიათ. ასეთ შემთხვევას მეც შევსწრებივარ, როდესაც უფროსკლასელები მათზე ბევრად უმცროს ბავშვს აბულინგებდნენ, ზოგჯერ მხოლოდ სიტყვიერად (მაგალითად, თუ მიაძახებდნენ რას ჰგავხარ ან რანაირად გაცვია). თუმცა, ვფიქრობ, სიტყვაც კი ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე. ერთხელ როდესაც მეგობრებთან ერთად საკლასო ოთახში მივდიოდი, დავინახე როგორ სცემდნენ უფროსკლასელები დაწყებითი კლასის მოსწავლეს. მიზეზი ჩემთვის უცნობია, თუმცა მეგობრებთან ერთად ჩავერიე და ისინი გავაშველეთ. ვფიქრობ, ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია,

/გაგრძელება გვ.5/

,,ეს დივერსიაა ჩვენი ეკონომიკის წინააღმდეგ“ - რატომ იზრდება ფქვილის იმპორტი ნახტომისებურად

სექტემბერში ფქვილის იმპორტი 7-ჯერ გაიზარდა. ფქვილის იმპორტიორი, თენგიზ ფაცაცია ამბობს, რომ ფქვილის იმპორტის ზრდის პროცესი ჯერ მხოლოდ იწყება და იმდენად შეუქცევადია, რომ ის, დიდი ალბათობით, ჩაანაცვლებს ხორბლის შემოტანას.

მისი თქმით, ხორბალზე საბაჟო გადასახადის დაწესება, რამაც ფქვილის იმპორტი გაზარდა, რუსული მხარის დივერსიაა საქართველოს ეკონომიკის წინააღმდეგ.

,,ევრაზიული კავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის, რუსეთს რამდენიმე პროდუქტზე განსხვავებული საბაჟო გადასახადი აქვს დაწესებული. ახლა ასეთია სიტუაცია, ჩვენ და აზერბაიჯანი 17%-ით მეტს ვიხდით ზეთზე და ხორბალზე, ვიდრე მაგალითად, სომხეთი. ამან განაპირობა, რომ ფქვილის იმპორტი იზრდება, რადგან ჩვენთვის მსგავსი გადასახადი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ფქვილზე ფასი გაზრდილია თავად რუსეთშიც, მაგრამ ხორბლის შემოტანას და შემდეგ გადამუშავებასთან შედარებით მაინც ბევრად იაფია. ზრდა, რომელიც გვაქვს, ჯერ მხოლოდ პროცესის დასაწყისია.

ეს დივერსიაა ჩვენი ეკონომიკის წინააღმდეგ. ხორბალს ძვირად, ფქვილს იაფად გვაძლევენ, ამიტომ მზა პროდუქცია ჩაანაცვლებს ხორბლის იმპორტს და ამ პოლიტიკით ჩვენი წარმოებები გაჩერდება. უკეთეს შემთხვევაში, თვითონაც ფქვილის იმპორტიორები გახდებიან. ეს ყველაფერთან ერთად, ნიშნავს, რომ ათასობით ადამიანი დარჩება უმუშევარი. ამის ნამდვილად ძალიან მეშინია და გამოსავალიც არ ვიცი რა შეიძლება იყოს. მით უფრო, რომ ყაზახეთიდან, აშშ-დან და სხვა ქვეყნებიდან ლოჯისტიკური ხარჯი, რუსეთის გაძვირებული ხორბლის ფასს აღემატება“, - განაცხადა თენგის ფაცაციამ ,,ბიზნესპრესნიუსთან“.

ინფორმაციისთვის, სექტემბერში ფქვილის იმპორტი 7-ჯერ გაიზარდა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წლის სექტემბერში საქართველომ 4 009 ტონა ფქვილი (1,234 მლნ აშშ დოლარი) შეიძინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი - 532 ტონა (146.4 ათასი აშშ დოლარი).

რაც შეეხება 9-თვიან მაჩვენებელს, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში ქვეყანამ 16 430 ტონა (4.897 მლნ აშშ დოლარი) პროდუქტის იმპორტი განახორციელა. მთავარი იმპორტიორი ქვეყანა კი, კვლავ რუსეთია, საიდანაც საქართველოში 9 თვეში 15 801 ტონა 4.614 მლნ აშშ დოლარის ფქვილი შემოვიდა.

ხორბლის იმპორტიორები და წისქვილკომბინატები დარგში არსებულ ახალ გამოწვევაზე ალაპარაკდნენ. საქმე ისაა, რომ რუსეთიდან ხორბლისა და ფქვილის იმპორტზე განსხვავებული საგადასახადო ტარიფები მოქმედებს - ხორბლის იმპორტი ბევრად ძვირი ჯდება, ფქვილზე ბაჟი კი განულებულია. სწორედ ამის გამო მეზობელი ქვეყნიდან საქართველოში მკვეთრად გაზრდილია ფქვილის იმპორტი, რამაც ფქვილის ადგილობრივი მწარმოებლები დახურვის საფრთხის წინაშე დააყენა. რუსეთში არსებული განსხვავებული საგადასახადო მიდგომების “დაბალანსების” მიზნით ხორბლის იმპორტიორები და წისქვილკომბინატები საქართველოს მთავრობას საგადასახადო შეღავათების დაწესებას სთავაზობენ.

BM.GE-მ სოფლის მეურნეობის მინისტრს დარგში არსებული პრობლემების შესახებ კითხვით მიმართა და დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა საგადასახადო შეღავათების დაწესება წისქვილკომბინატებისთვის. ლევან დავითაშვილი ხორბლის იმპორტისა და გადამუშავების დარგში არსებულ გამოწვევებს არ უარყოფს და აცხადებს: „გავაგრძელებთ კომუნიკაციას და ამ დარგს, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შევუწყობთ ხელს იმგვარად, რამდენადაც ეს ქვეყნის და მოსახლეობის ინტერესებში შედის. ასევე დაცული იქნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპები“.

რა შეღავათები შეიძლება დაწესდეს სექტორისთვის და არის თუ არა მდგომარეობიდან გამოსავალი - ამ კითხვებით BM.GE-მ ხორბლის საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელს ლევან სილაგავას მიმართა.

მისი ინფორმაციით, დარგის ჩართულობითა და მოთხოვნით გამოწვევების დაძლევის მიზნით უწყებათშორისო სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც სექტორისთვის საგადასახადო შეღავათებისა და რუსეთიდან ფქვილის კვოტირების დაწესებას განიხილავს.

ლევან სილაგავა აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე მუშაობა დაახლოებით 20 დღეა, რაც დაიწყო და იმისთვის, რომ ქვეყანა ხორბლის იმპორტისა და წისქვილკომბინატების ნაწილის დახურვის პრობლემის წინაშე არ დადგეს, სავარაუდოდ გადაწყვეტილებები ოქტომბრის ბოლოსთვის უნდა გაცხადდეს.

„წლების განმავლობაში სექტორს საგადასახადო შეღავათები და სატარიფო კვოტები არ სჭირდებოდა, თუმცა, რადგან ახლა ახალი გამოწვევები გაჩნდა, საუბარი მიდის უკვე ან საგადასახადო ღონისძიებების გატარებაზე, ან სატარიფო კვოტებზე, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული რაოდენობის ფქვილი,

რომელიც არ დააზიანებს სასურსათო უსაფრთხოებას, რუსეთიდან სატარიფო კვოტით შემოვიდეს, როგორც ეს მაგალითად ევროკავშირს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით უკრაინასთან აქვს, როდესაც ნულოვანი დაბეგვრით უკრაინამ შეიძლება მილიონი ტონა შეიტანოს, ხოლო ამის შემდეგ დაიბეგროს.

ამიტომ ჩვენს სამ მინისტრს - ეკონომიკის მინისტრს, ფინანსთა მინისტრსა და სოფლის მეურნეობის მინისტრს - სამუშაო ფორმატი ვთხოვეთ, რომელიც მოადგილეების დონეზე შეიქმნა. საერთაშორისო ვაჭრობა ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს, საგადასახადო და საბაჟო მიმართულება - ფინანსთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დარგს საკითხების გადაჭრაში ისედაც გვეხმარება.

საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფი მუშაობის პროცესში სირთულეებს აწყდება, რადგან საერთაშორისო ვალდებულებები გვაქვს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გვაქვს ქვეყნებთან, თუმცა, გადაწყვეტის გზები უნდა მივიღოთ.

ჩვენ გვინდა ბაზარზე სწორი კონკურენციის გარემო იყოს შექმნილი, რაც ნიშნავს, რომ ხორბლის და ფქვილის იმპორტი დაახლოებით ერთსა და იმავე საგადასახადო რეჟიმში იყოს.

თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ წისქვილკომბინატებმა იმუშაონ, ისე როგორც მუშაობენ, ცხადია, საგადასახადო რეჟიმები ან ბაზარზე შიდა წახალისების ფორმები უნდა ამუშავდეს, იმისთვის, რომ ხორბლის და ფქვილის იმპორტის პირობები გათანაბრდეს. თუ ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღეს, ეს ხორბლის და ფქვილის ფასებს შორის უფრო დიდ ჩავარდნას გამოიწვევს, შესაბამისად, წისქვილების გარკვეული რაოდენობა შეიძლება გაჩერდეს“, - განმარტა ლევან სილაგავამ.

საქართველოში ელექტროენერგიის დღის და ღამის ტარიფები ამოქმედდება

საწარმოებს 2022 წლის 1-ელი იანვრიდან შესაძლებლობა ექნებათ დღის და ღამის საათებში ელექტროენერგიის განსხვავებული, დიფერენცირებული ტარიფით ისარგებლონ. შესაბამისი სერვისი საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედების შემდეგ გახდება ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, როგორც “ინტერპრესნიუსს” ენერგეტიკული ბირჟის ხელმძღვანელმა ირინა მილორავამ განუცხადა, დროში დიფერენცირებული ელექტროენერგიის ტარიფით სარგებლობა მას შემდეგ შეეძლებათ, რაც მოსახლეობის მრიცხველები ე.წ. ჭკვიანი მრიცხველებით ჩანაცვლდება.

„მთავრობის დადგენილებით, ენერგეტიკული ბირჟა 2022 წლის 1-ელი იანვრიდან უნდა ამოქმედდეს. ბირჟის ამოქმედებისთანავე, ბირჟაზე ფასები ყოველსაათობრივად ჩამოყალიბდება და შესაბამისად, ჩვენ დავინახავთ, როგორი იქნება დღისა და ღამის ტარიფები. მაღალი ალბათობით, ეს იქნება განსხვავებული ტარიფები. თქვენ იცით, რომ ბირჟა ფუნქციონირებს სატესტო რეჟიმში და უკვე ეს რეჟიმიც აჩვენებს, რომ ღამის ტარიფი უფრო დაბალია, ვიდრე დღის და განსაკუთრებით, პიკის საათის ტარიფი. შესაბამისად, ის საწარმოები, რომლებიც ივაჭრებენ საბითუმო ბაზარზე, ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით - თუ საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი იძლევა შესაძლებლობას, რომ საწარმომ მოხმარება გადაიტანოს არაპიკურ საათებში, იგი ასეც უნდა მოიქცეს და ამ გზით შეამციროს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება. რაც შეეხება იმას, თუ როდის და როგორ აისახება მოსახლეობაზე საბითუმო ბაზარზე ჩამოყალიბებული განსხვავებული ტარიფები, ამას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება. პირველ რიგში, უნდა გაჩნდნენ მიმწოდებლები. ბაზარზე ორი ტიპის მიმწოდებელია: თავისუფალი მიმწოდებელი და საჯარო მიმწოდებელი/უნივერსალური/ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი, რომელიც რეგულირებულ ტარიფად მიაწვდის ელექტროენერგიას მოსახლეობას. როდის აისახება მოსახლეობაზე, ეს დამოკიდებულია სემეკზე, როდის გაითვალისწინებს ამ საათობრივ განსხვავებულ ტარიფებს სამომხმარებლო ტარიფში.

თავისუფალ მიმწოდებლებს რაც შეეხება, მარეგულირებელი კომისია მათ არ უდგენს ელექტროენერგიის მიწოდების ტარიფს. ისინი მაღალი ალბათობით, საცალო ბაზარზე თვითონვე გაითვალისწინებენ ამ განსხვავებულ ტარიფს დღის და ღამის განმავლობაში, როცა საცალო ბაზრისთვის წინადადებას გააკეთებენ. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, ეს არის ე.წ. ჭკვიანი მრიცხველები. მომხმარებელმა რომ ისარგებლოს ამ შესაძლებლობით, მომხმარებლის მრიცხველი უნდა აღრიცხავდეს საათობრივად ელექტროენერგიას. საათობრივად თუ არა, მრიცხველი მინიმუმ დღის, ღამის და პიკის პერიოდებს უნდა აღრიცხავდეს იმისთვის, რომ გავარკვიოთ დღისით მოქალაქემ რამდენი მოიხმარა, ღამით რამდენი მოიხმარა, პიკის საათებში რამდენია მოხმარება და ა.შ. ამიტომ, რომ შევაჯამოთ, საბითუმო ბაზარზე საათობრივი ფასები გამოჩნდება ახალი მოდელის ამოქმედებისთანავე, ხოლო საცალო ბაზარზე ეტაპობრივად მოხდება მისი ასახვა.

სემეკმა ახლახანს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ამ წლის 1-ელი ოქტომბრიდან ყველა ახალი მრავალბინიანი კორპუსი, რომელიც ქსელზე მიერთების მოთხოვნით მიმართავს გამანაწილებელ კომპანიას, უნდა აღიჭურვოს ჭკვიანი მრიცხველებით. რაც შეეხება ძველ მრიცხველებს, მათი ჩანაცვლება ჭკვიანი მრიცხველებით ეტაპობრივად მოხდება. ეს არის უზარმაზარი ინვესტიცია და რა თქმა უნდა, ერთდროულად განხორციელება ვერ მოხერხდება, ამას გარკვეული დრო დასჭირდება“, - განაცხადა ირინა მილორავამ.

მისივე თქმით, 1-ელი იანვრიდან ენერგეტიკული ბირჟა საათობრივი ტარიფებით ვაჭრობას დაიწყებს.

„ბირჟაზე ტარიფები დადგინდება ყოველ კონკრეტულ საათში, ოღონდ ამის ასახვა, პირველ ეტაპზე, მხოლოდ საბითუმოდ შეძენილი ელექტროენერგიის შეძენის შემთხვევაში მოხდება და არა საცალოდ. ის მსხვილი საწარმოები, რომლებიც პირველი იანვრიდან საბითუმო ბაზარზე ივაჭრებენ, შეძლებენ, რომ ელექტროენერგია განსხვავებულ ფასად შეიძინონ. ღამის საათებში უფრო დაბალ ფასად, ვიდრე დღის და პიკის საათებში. ეტაპობრივად ეს სიახლე აისახება საცალო ბაზარზეც, ოღონდ ამას სჭირდება გარკვეული წინაპირობები და მოსამზადებელი სამუშაოები. მათ შორის საწარმოების აღჭურვა ე.წ. ჭკვიანი მრიცხველებით. დღეს საბითუმო ბაზარზე 44 მსხვილი საწარმოა. თუ ეს საწარმოები დარჩებიან საბითუმო ბაზარზე, მათ ექნებათ ელექტროენერგიის ყიდვის ორი გზა - მათ შეეძლებათ უშუალოდ მოელაპარაკონ მწარმოებელს, გენერაციის ობიექტს და მათგან იყიდონ ელექტროენერგია ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ან ელექტროენერგია ბირჟიდან იყიდონ. თუ საწარმოები საცალო ბაზარზე დარჩებიან, ისინი ელექტროენერგიას იყიდიან მიმწოდებლისგან, რომელიც, თავის მხრივ, ამ ელექტროენერგიას საბითუმო ბაზარზე იყიდის და დაამატებს თავისი მოგების მარჯას. ამიტომ, საწარმოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რა უღირთ - თავად ივაჭრონ საბითუმო ბაზარზე თუ ეს მათ მაგივრად სხვამ, ამ შემთხვევაში, მიმწოდებელმა გააკეთოს, რისთვისაც გარკვეულ საფასურს გადაიხდის. უბნის მაღაზიას შეიძლება არ უღირდეს საბითუმო ბაზარზე გასვლა და ბირჟაზე ვაჭრობა, იმიტომ რომ ამგვარ საქმიანობას გარკვეული ცოდნა, უნარები და შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი სჭირდება. ამიტომ, ის მაღალი ალბათობით საცალო ბაზარზე დარჩება და მიმწოდებელს აირჩევს. მაგრამ მსხვილი, ენერგოტევადი საწარმოს შემთხვევაში, მას უფრო აქვს მოტივაცია და შესაბამისი რესურსი, რომ რამდენიმე თანამშრომელი დაატრენინგოს საბითუმო ვაჭრობის უნარებში და ავაჭროს საბითუმო ბაზარზე“, - განაცხადა მილორავამ.

ჩაგვრა, როგორც მოზარდის თვითგამოხატვის საშუალება?

/დასაწყისი გვ.3/

რომელსაც, პირველ რიგში, მშობლებმა უნდა მიაქციონ ყურადღება. ამის შემდეგ კი სკოლამ. ეს პრობლემა აღმოიფხვრებოდა თუკი სკოლას ფსიქოლოგი ეყოლებოდა, რადგან ისედაც არიან ისეთი ადამიანები რომლებიც აკონტროლებენ სკოლის პერიმეტრს, რომ მსგავსი შემთხვევა არ მოხდეს, თუმცა ისინი ყოველთვის საჭირო ადგილას ვერ იქნებიან, ფსიქოლოგს კი შეუძლია დაბულინგებული და იმ ბავშვის დახმარება, ვინც ის დააბულინგა."

ნატო, 34 წლის, მშობელი: „მე ვფიქრობ, როდესაც ერთი ბავშვი ჩაგრის მეორეს, ამ შემთხვევაში ან თვითონაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან მშობლების მუდმივი კონფლიქტი ხდის მოძალადეს. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვი ჩაგვრის და ძალადობის მეტს ვერაფერს ხედავს და სწავლობს. ამიტომ თანატოლებთან აუცილებლად იქნება მჩაგვრელის როლში. ბავშვი ყოველთვის ოჯახის სარკეა, ის მიბაძვით სწავლობს კარგსაც და ცუდსაც. ჩემს შვილს ჰყავდა ბაღში ჯგუფელი, ბავშვებთან ძალიან აგრესიული იყო. მუხლებზე დადექით და ბოდიში მომიხადეთო ბავშვებს ეუბნებოდა. როგორც გაირკვა, ოჯახში მსგავსად ხდებოდა აგრესიის გამოვლინება, ამიტომ ბავშვმაც ანალოგიური გაიმეორა ბაღში. მეტი სიახლოვე და ჯანსაღი ურთიერთობაა შვილებთან საჭირო.ზომიერი კონტროლი აუცილებელია. სკოლის ბულინგის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, კლასის ხელმძღვანელი უნდა იყოს ყურადღებით. მე რომ შვილს სკოლაში ვუშვებ საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე სკოლაა პასუხისმგებელი ბავშვზე. ასევე აუცილებელია მშობლის ჩართულობაც. ორივე მხარე ვალდებულია ჩაერიოს და დროულად მოხდეს პრობლემის მოგვარება. მხოლოდ სკოლას არ უნდა მივანდოთ ამ საკითხის გადაწყვეტა. მარტო სკოლა ვერ გადაჭრის პრობლემას თუ მშობელიც არ ჩაერთვება. ორივე მხარის ერთობლივი თანამშრომლობით უნდა მოხდეს მსგავსი და ნებისმიერი საკითხის მოგვარება, რაც მოსწავლეს შეეხება. სკოლა ვალდებულია ხშირი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან(მშობლებთან) და ასევე მშობელი(ც) უნდა ინტერესდებოდეს. მე როცა კლასის ხელმძღვანელს ვურეკავ ჯერ ვეკითხები, როგორ იქცევა ჩემი შვილი სკოლაში და როგორი ურთიერთობა აქვს კლასელებთან და შემდეგ ვკითხულობ ნიშნებს."



თათია, 24 წლის, დამწყები პედაგოგი: „კერძო სკოლაში სადაც მე ვმუშაობ, ძირითადად მიწევს პირველი და მეორე კლასის ბავშვებთან შესვლა. ასაკი შეიძლება პატარა მოგეჩვენოთ, მაგრამ ესენი არიან ბავშვები, რომლებსაც ძალიან ბევრი რამ გააზრებული და აღქმული აქვთ. მათთან ცალკე მუშაობენ კიდევ აღმზრდელები, რითაც ბავშვების გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება ხდება. მასწავლებლები ძირითადად მხოლოდ საგნის ირგვლივ შემოვიფარგლებით. მიუხედავად არც თუ ისე დიდი პრაქტიკისა, ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ბავშვებში მსგავსი რამ არასდროს შემიმჩნევია. ქილიკიც კი არ ყოფილა ერთმანეთის მიმართ. სწორედ უახლოეს პერიოდში ვაპირებთ ამ თემაზე ბავშვებთან გასაუბრებას, გვსურს, რომ ვაჩვენოთ ხმოვანი და უხმო პატარა ფილმები, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით მათ ცოდნას გაულრმავებთ, დაფიქრდებიან და დაიწყებენ იმის გაანალიზებას, რომ ყველა თანასწორია და თანატოლებს პირიქით, გვერდში უნდა დაუდგნენ რთულ მდგომარეობაში. ყველაფერი დამოკიდებულია ურთიერთგაგებასა და ძალიან ბევრ მუშაობაზე როგორც მსხვერპლ, ასევე მჩაგვრელ ბავშვებთან. ეს ძალიან კომპლექსური საკითხია და მიდგომაც შესაბამისი სჭირდება".

ყველანი ვთანმხდებით, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა მართლაც ძალიან კომპლექსური საკითხია და კომპლექსურ მიდგომებს საჭიროებს. მხოლოდ ერთი უწყების პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება არ იყოს ეს. აქ გვჭირდება ერთიანი ხედვა, ერთიანი სტრატეგია, მიდგომა, როგორ ვამარცხებთ ბავშვთა მიმართ ძალადობას. აუცილებელია, რომ სკოლას ჰქონდეს მიდგომა ორივე მხარის მიმართ. საზოგადებაში არსებობს მრავალი მითი, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ ძალადობის ეს ფორმა კიდევ უფრო „უჩინარი" გახდეს. მითებზე და მათი დამსხვრევის გზებზე შემდგომ სტატიებში ვისაუბრებთ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

facebook მოზარდებში პოპულარობას კარგავს?!

თინეიჯერები 16%-ით ნაკლებ დროს ატარებენ Facebook-ში, ახალგაზრდების დახარჯული დრო კი 5%-ით შემცირდა. ამის შესახებ კომპანიის ყოფილი თანამშრომლის, ფრენსის ჰაუგენისგან გახდა ცნობილი. მან საიდუმლო დოკუმენტები და კვლევის შედეგები გაავრცელა, საიდანაც ირკვევა, რომ ახალგაზრდებში სოციალური ქსელის პოპულარობა იკლებს. შედეგების მიხედვით, ამ პლატფორმაზე 30 წელს ქვემოთ ადამიანები ნაკლებად აქტიურობენ. ვარაუდობენ, რომ მათი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს Instagram-ს, TikTok-ს და Snapchat-ს.

კვლევა 2021 წლის მარტში Facebook-ის ერთ-ერთი აღმასრულებელი ხელმძღვანელის, კრის კოქსის ბრძანებით ჩატარდა. რის შემდეგაც გამოიკვეთა ტენდენციები, რომ ახალგაზრდები შედარებით ნაკლებ დროს ატარებენ Facebook-ში; შემცირებულია თინეიჯერების რეგისტრაციის მაჩვენებელი; ახალგაზრდა მომხმარებლები შედარებით იშვიათად პოსტავენ და აზიარებენ სიახლეებს, ვიდრე 30 წელს გადაცილებული პირები.

Facebook VS TikTok

აშშ-ს „ფეისბუქის" აპლიკაციის მომხმარებელთა ბაზა 2019 წლიდან თინეიჯერებს შორის 13 %-ით შემცირდა და სავარაუდოდ, მომდევნო ორი წლის განმავლობაში 45%-ით კიდევ შემცირდება, რაც კომპანიის ყველაზე შემოსავლიან სარეკლამო ბაზარზე ყოველდღიური მომხმარებლების საერთო შემცირებას გამოიწვევს. მოსალოდნელია, რომ იმავე პერიოდში 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდების რაოდენობა 4%-ით შემცირდება.

მესიჯი ნათელია: „ფეისბუქი" სწრაფად კარგავს პოპულარობას ახალგაზრდა თაობაში.

„ახალგაზრდების უმეტესობა „ფეისბუქს" 40-დან 50 წლამდე ადამიანებისთვის განკუთვნილ აპლიკაციად მიიჩნევს. ახალგაზრდები კონტენტს მოსაწყენად და ნეგატიურად აღიქვამენ. მათ ხშირად უწევთ არარელევანტური შინაარსის წაკითხვა, რათა მიიღონ ის, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია. მათ ფეისბუქთან ნეგატიური ასოციაციების ფართო სპექტრი აკავშირებთ, მათ შორის „დაბალი ინფორმირებულობა დაკავშირებული სერვისების შესახებ" - აცხადებს აღმასრულებელი დირექტორი კრის კოქსი.

მარტში გამართულმა პრეზენტაციამ კოქსს აჩვენა, რომ 18 წლამდე მომხმარებელთა ანგარიშის რეგისტრაცია 26%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. მოზარდების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 16%-ით შემცირდა, ხოლო 20-30 წლის მომხმარებლების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების რაოდენობა არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ საფრთხილო ნიშნები „ინსტაგრამზეც" შეინიშნება. ახალგაზრდებთან მუშაობაში, ინსტაგრამი უკეთესი გახდა, მაგრამ მაინც არსებობს შეშფოთების მიზეზები. 2020 წლიდან თინეიჯერების პოსტები 13%-ით დაეცა და „რაც ყველაზე შემაშფოთებელ ტენდენციად რჩება" არის მოზარდებში თიკთოკ-ის გაზრდილი პოპულარობა. კომპანიამ ასევე აღნიშნა, რომ მოზარდები ორ-სამჯერ მეტ დროს ატარებენ თიკთოკ-ზე, ვიდრე Інსტაგრამ-ზე.

ზოგიერთი ადამიანი, რომელიც რამდენიმე ფეისბუქ-ანგარიშს ოპერირებს (რომელსაც კომპანია უწოდებს Single User Multiple Accounts, an SUMA) პასუხისმგებელია ფეისბუქის ბევრ ყველაზე საკამათო და მავნე კონტენტზე.

მაგრამ, როგორც Politico იუწყება, გავრცელებული დოკუმენტები მიუთითებს, რომ კომპანიამ ვერ შეძლო პრობლემის მოგვარება:

,,[SUMA]-ის მნიშვნელოვანმა ნაწილმა იმდენი საკამათო პოლიტიკური პოსტი გაავრცელა, რომ კომპანიის შიდა დოკუმენტებისა და ყოფილ თანამშრომლებთან ინტერვიუების მიხედვით, ისინი გახდნენ ტოქსიკური პლატფორმის პოლიტიკის უზარმაზარი წყარო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი SUMA უვნებელია, Facebook-ის თანამშრომლები მათ სახიფათო პოლიტიკური აქტივობის მიმწოდებლებად მიიჩნევენ." - აღნიშნულია დოკუმენტში. ჯერ კიდევ 2018 წლის მარტის კვლევამ დაადგინა, რომ ანგარიშებს, რომლებიც შეიძლება იყოს SUMA, ყოველდღიურად დაახლოებით 11 მილიონი მაყურებელი ჰყავს.

ალგორითმი

„ფეისბუქმა" დააპროგრამა ალგორითმი, რომელიც აღმოაჩენს, რას ხედავენ ადამიანები თავიანთ საინფორმაციო კედელზე და რეაქციის ემოციებს იყენებენ, როგორც სიგნალებს უფრო ემოციური კონტენტის პოპულარიზაციისთვის, მათ შორის, რამაც შეიძლება გააღიზიანოს მომხმარებელი.

ალგორითმული პოპულარიზაციის ძალამ ძირი გამოუთხარა „ფეისბუქის" კონტენტის მოდერატორებისა და კეთილსინდისიერების გუნდების ძალისხმევას, რომლებიც იბრძოდნენ მძიმე ბრძოლაში ტოქსიკური და მავნე შინაარსის წინააღმდეგ. შიდა დაპირისპირება გამოიწვია თავად „გაბრაზებულმა" სმაილიკმაც.

The Washington Post -ის ინფორმაციით გაჟონილ დოკუმენტებში ნაპოვნია ახალი ინფორმაცია, სადაც ირკვევა, რომ „ფეისბუქი" ცდილობდა გამოეკვლია საკითხი მომხმარებლის ემოციებით მანიპულირების შესახებ:

„ფეისბუქში ღრმად იყო ჩასმული ექსპერიმენტების კულტურა. 2014 წელს ჩატარებული ექსპერიმენტი ცდილობდა შეეცვალა მომხმარებელთა არხებში ნაჩვენები შეტყობინებების ემოციური მნიშვნელობა, რათა ისინი უფრო პოზიტიური ან ნეგატიური გამხდარიყო, შემდეგ კი დაენახა, შეიცვალა თუ არა შეტყობინებები ეთიკურად"- წერდა იმ დროს The Post.

მეორე საკითხი, რომელიც ჰოგენმა კონგრესს ამ თვეში შეატყობინა, მოიცავდა უსაფრთხოების ზომების გამორთვას მომხმარებელთა ქვეჯგუფისთვის, როგორც შედარების მიზნით, რათა დაენახათ, მუშაობდა თუ არა ეს ზომები.

„ფეისბუქმა" ვერ იმუშავა ენობრივი ხარვეზებზე, რის შედეგადაც მავნე კონტენტი საზღვარგარეთ აღმოჩენილი ვერ იქნა. Associated Press-ის ცნობით, გამოქვეყნებული დოკუმენტები აჩვენებს, რომ „ფეისბუქმა" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სიძულვილის ენისა და ძალადობის წაქეზების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო რესურსები არ გამოყო - და მან ამის შესახებ იცოდა.

***

მასშტაბური რებრენდინგის ფარგლებში, Facebook-მა კორპორაციული სახელი შეიცვალა და Meta გახდა. თუმცა, მთავარი სიახლე ის, არის, რომ საქმიანობის სფეროს აფართოებს და სოციალური ქსელის მიღმა, ვირტუალური რეალობის მიმართულებით აქტიურდება. სწორედ ამას უკავშირდება სახელის ცვლილება. როგორც თავად ამბობენ, "Meta" უკეთ გადმოსცემს კომპანიის ახლანდელ არსს.

აღსანიშნავია, რომ ცვლილება კორპორაციაში შემავალ პლატფორმებზე — Facebook, Instagram, Whatsapp — არ ვრცელდება და მხოლოდ მათ მფლობელ კომპანიას ეხება. BBC წერს, რომ შესაძლოა, კორპორაციის ასეთი გადაწყვეტილება [მასშტაბური რებრენდინგი] იმ ნეგატიური ამბების სერიას მოჰყვა, როცა ყოფილმა თანამშრომლებმა შიდა დოკუმენტები გაასაჯაროვეს და კომპანიას ბრალდებები წაუყენეს. მათ შორის ერთ-ერთი იყო ფრენსის ჰოგენი, რომლის მტკიცებითაც, Facebook-ის ხელმძღვანელობისთვის მოგება [თანამშრომელთა] უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანია. „ჩვენი კომპანია, ამიერიდან, არის Meta"

Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ზაკერბერგმა სახელის შეცვლის შესახებ ოფიციალურად მას შემდეგ ისაუბრა, რაც "მეტავერსე"-ის („მეტასამყარო"), ანუ „ონლაინ სამყაროს" შექმნაზე გააკეთა ოფიციალური განცხადება. მისი თქმით, ამ ახალ სივრცეში ადამიანები იმუშავებენ, ითამაშებენ და კომუნიკაცია ექნებათ ვირტუალურ გარემოში, VR ყურსასმენების საშუალებით.

რა არის მეტავერსე, ანუ „მეტასამყარო"?

„ახლა ჩვენს ბიზნესს ორ განსხვავებულ სეგმენტად ვყოფთ. ერთი იქნება აპლიკაციების, მეორე კი მომავალი პლატფორმების განვითარების მიმართულება.

[ამიტომ], დროა, კომპანიის ახალი ბრენდი შეიქმნას, რომელიც იმ ყველაფერს [უფრო ზუსტად] ასახავს, რასაც ვაკეთებთ, [უკეთ] გამოხატავს, ვინ ვართ, ან რისი შექმნა გვსურს. სიამაყით ვაცხადებ, რომ დღეიდან, ჩვენს კომპანიას ჰქვია მეტა".

BBC წერს, რომ უცხო თვალისთვის, „მეტასამყარო" შესაძლოა, უბრალოდ, კომპანიის ახალი ვირტუალური რეალობის ერთ-ერთი ვერსია იყოს, თუმცა, მომხმარებელთა ნაწილისთვის მეტავერსე ინტერნეტის მომავალია.

ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის, Facebook პირველი არ არის, რომელმაც კორპორაციული სახელი შეიცვალა — 2015 წელს, რესტრუქტურიზაციის შემდეგ, Google-ის დედობილ კომპანიას Alphabet ეწოდა. თუმცა, არც ახალ სახელსა და არც თავად ცვლილებას, მაშინ, დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ოქტომბერი – იაკობ გოგებაშვილის თვე! დაბადებიდან 181 წელი!

თუკი ვინმეს მადლობა უნდა გადავუხადოთ საქართველოში სკოლების გახსნის, განათლების მნიშვნელობის გააზრებისა და მისი მიღების აუცილებლობისთვის, ეს აუცილებლად იაკობ გოგებაშვილი იქნება. ოქტომბერი მისი თვეა, რადგან მას ოქტომბერში დაბადებიდან 181 წელი შეუსრულდა.

ალბათ, ნაკლებად წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ღარიბი მღვდლის ოჯახში დაბადებული ადამიანი საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი გახდებოდა. 1861 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ კი კიევის სასულიერო აკადემია. სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1864) იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1968 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. 1874 წელს იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, თანამდებობიდან მოხსნეს. სწორედ ეს არასაიმედო ადამიანი, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუღალავად იბრძოდა საქართველოში სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" (1865); „ბუნების კარი" (1868); „დედა ენა" (1876), რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპებზეა შედგენილი ქართული სკოლების დაწყებით კლასებში ამჟამად მოქმედი ქართული ენის სახელმძღვანელოები. გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. ცნობილია მისი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა" (1890). თავისი საბავშვო მოთხრობებით მწერალმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ჟურნალებს: "ნობათს", "ჯეჯილსა" და "ნაკადულს". ი. გოგებაშვილი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.



„ჩამოვიტანე ავი ჭაობის ციება; მაგრამ თანაც ჩამოვაცოცე ვეებერთელა რვეული, გაჭიკნილი ხალხური ზღაპრებით, არაკებით, ლექსებით და შევუდეგ "დედაენის" შედგენასა და გამოცემასა" -წერს იაკობ გოგებაშვილი თავის მოგონებებში. ეს საოცარი, გულისამაჩუყებელი, გულწრფელი ფრაზაა ადამიანისა, რომელმაც ახალი ტიპის სახელმძღვანელოს შედგენითა და გამოცემით სრულიად შეცვალა, მეტიც, ალბათ. შექმნა, სასკოლო განათლება საქართველოში.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ქართული საბავშვო პერიოდიკა, სასკოლო განათლება - ეს ის სფეროებია, რომელთაც იაკობ გოგებაშვილის გარეშე არსებობა გაუჭირდებოდათ. თავის წერილებში იაკობ გოგებაშვილი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება, როგორიცაა, განათლების აუცილებლობა ყველა ფენისათვის, ქალთა განათლების საკითხი, ყოველთვის, როდესაც სკოლებზე წერს, გოგებაშვილი აკონკრეტებს, რომ აუცილებელია ქალებმა და ვაჟებმა ერთნაირი განათლება მიიღონ, ყოველთვის აღნიშნავს განათლების სოციალურ საკითხს, სახელმძღვანელოთა ხელმისაწვდომობას, ეს წერილები დღესაც აქტუალურია. დღესაც, ბევრი საკითხი, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი სვამს, მოუგვარებელია ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში. **„ჩვენი ჟურნალი ყოველთვის განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს სოფლის შკოლების მასწავლებელთა და მათს მოღვაწეობასა და ეცდება ღირსეულად მომქმედს მოუპოვოს მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მიერ. წინააღმდეგ ამისა, თუ სასოფლო მასწავლებელთ შუა ამოჩნდებიან, ჩვენდა სამწუხაროდ იმისთანა დაბალის სულის პატრონნი, რომელთაც გლეხის ოფლით მონაგარ ფულების ტყუილ-უბრალოდ ჭამა არ შერცხვებათ, ორ-გულად, ცუღლუტად, აბუჩალაკად მოეკიდებიან თავიანთ წმინდა საქმესა, ჩვენ დაუნდობლად ვამხელთ ქვეყნის წინაშე."** - მასე გამორჩევით აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი რეგიონების სკოლებში კარგი განათლების აუცილებლობას. ქართული სახელმძღვანელოების შექმნა და განვითარება, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენის სწავლება ემსახურება, ენისა, რომლის მნიშვნელობა და ფასი კარგად ესმოდა იაკობ გოგებაშვილს, ენისა, რომელიც რუსეთის ცარისტული პოლიტიკის კვალდაკვალ თანდათან დაკარგვისა და გაქრობის საშიშროების წინაშე იდგა:

„დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდის ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმადგამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა-და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებითგანავე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს - იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით."

ორი უმნიშვნელოვანესი მეტაფორის და ლინგვისტური ფორმულის - „დედა ენისა" და „აი იას" ავტორს, პედაგოგს, ლინგვისტსა და მწერალს - იაკობ გოგებაშვილს არასდროს მოუდუნებია ყურადღება, არასდროს შეუჩერებია დაკვირვება, აღნიშვნა, კრიტიკა, იმ პრობლემების ერთგვარი დიაგნოსტიკა, რაც მაშინდელ საქართველოში იყო. განათლება - უმთავრესია, ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ ქვეყანამ თავისი სახე და სახელი შეინარჩუნოს, ეს მან ზუსტად იცოდა და ამიტომაც, თავის ანდერძშიც არ დავიწყებია ქართული განათლების მომავალზე ფიქრი.

„ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის ვალდებულია დაარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად იმყოფება. ჩემი ქართული და რუსული წიგნების ყველა გაყიდული ეგზემპლიარიდან „წერა-კითხვის საზოგადოება" გადასდებს არანაკლებ 1 კაპეიკსა სახალხოსაგანმანათლებლო კაპიტალის შესაქმნელად, რომლის პროცენტებით იგი, ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ელემენტის გასაძლიერებლად, უმთავრესად სპეციალურ, კერძოდ კი პედაგოგიურ სასწავლებლებში აღზრდის ყველაზე ნიჭიერ და სახალხო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებული ბავშვებს: გლეხებისა, მუშებისა და ღარიბ სახალხო მასწავლებელთა, ამავე კაპიტალისთვის ვნიშნავ ჩემი მიწის ნაკვეთს ვერაზე, რომელსაც საზოგადოების გამგეობა გაჰყიდის მხოლოდ მაშინ, როცა მიწის ფასი ძალიან აიწევს და მთელ აღებულ თანხას შეუერთებს ჩემს სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალს. ამავე კაპიტალის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ჩემი ნაღდი თავისუფალი თანხების დაახლოებით ნახევარი, ჩემი სხვა ანდერძის თანახმად. საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებლის ხარჯვას სტიპენდიისათვის საზოგადოების გამგეობა არ იწყებს მანამ, სანამ ის არ მიაღწევს ათი ათას(10.000) მანეთამდე.

ჩემი წიგნების შემოსავლიდან კი საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურ სუბსიდიას არანაკლებ 300 მანეთისა აძლევს ქართულ პედაგოგიურ ჟურნალს „განათლებას", რათა ამ ჟურნალმა, რომელიც აუცილებლად საჭიროა „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, არ შესწყვიტოს თავისი არსებობა დეფიციტის მძიმე ტვირთის გამო."

ნოდარ დუმბაძე იაკობის „დედა ენაზე" ამბობდა, ეს წიგნი კი არა ერიაო. „იაკობისთანა კაციც ერია. აუღელვებლად ვერასოდეს ვკითხულობ მის ერთ მოგონებას: 1968 წელია. თურქეთში, ქ.ბურსაში შეხვდება პატარა შავთვალწარბა ბიჭს, რომელსაც ქართველს მიამსგავსებს. ბიჭი მართლა „გურჯი" აღმოჩნდება, რასაც თარჯიმნის საშუალებით დაუდასტურებს. ქართული რატომ არ იცი, უსაყვედურებს მწერალი. ბიჭი მიზეზს ორი ქართული სიტყვით აუხსნის: „ნენეი მომიკვდა". მაშინ მწერალი აჩუქებს უძვირფასეს საოჯახო რელიკვიას - თაობებისგან გამოყენებულ, გაცრეცილ „დედაენას" და ეტყვის - წაიღე, შენი იყოს, ოღონდ ისწავლეო. ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს დედაჩემი ვაჩუქე და დედა გავუცოცხლეო, - წერს იგი. აი, ასეთი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს იაკობის „დედა ენასთან".

მოქალაქე, რომელიც კოსმოსში „დაავიწყდათ“

„მირი“ იყო მეტად წარმატებული საბჭოთა (შემდეგ რუსული) ორბიტული სადგური. ის იყო პირველი მუდმივადმოქმედი სადგური, რომელიც განკუთვნილი იყო კოსმოსში ხანგრძლივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. სადგურზე ტარდებოდა საერთაშორისო ექსპერიმენტები სხვადასხვა ქვეყნის კოსმონავტების მონაწილეობით. „მირი“ ორბიტაზე ეწყობოდა რამდენიმე მოდულის შეერთებით, რომლებსაც კოსმოსში უშვებდნენ 1986-1996 წლებში. სადგურმა იარსება 2001 წლის 23 მარტამდე, როდესაც ის ორბიტიდან დაეშვა სამუხრუჭე ძრავის ჩართვის შედეგად და ატმოსფეროს მკვრივ ფენებში დაიწვა (ცალკეული ნაწილები წყნარ ოკეანეში ჩამოვარდა).

ისტორია

„მირის“ ისტორია იწყება 1976 წელს, როდესაც დაიწყო გრძელვადიანი ორბიტული სადგურის პროექტზე მუშაობა. 1984 წელს პროექტის დასრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, თუმცა სკკპ XXVII ყრილობაზე მაინც დაამტკიცეს პროექტი და 1986 წლის თებერვალში „მირი“ ღია კოსმოსში გავიდა. 1995 წლიდან სადგურზე დაიწყო საერთაშორისო ექსპედიციები.

2001 წლის 23 მარტს „მირი“ ორბიტიდან მოიხსნა. მისი ნაწილები ჩაიძირა წყნარი ოკეანის სამხრეთით. ფიჯის კუნძულებთან ახლოს. კოსმონავტი სერგეი კრიკალევი, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი მოქალაქე იყო, რომელიც უდიდესი იმპერიის ნგრევას კოსმოსიდან აკვირდებოდა და კინაღამ ამ პროცესებს შეეწირა. სერგეი კრიკალევი სხვა კოსმონავტებთან ერთად, კოსმოსში 1991 წლის 18 მაისს გაფრინდა. ეს კოსმოსში მისი მეორე გაფრენა იყო და დედამიწაზე ხუთ თვეში უნდა დაშვებულიყო, მაგრამ...მხოლოდ 1992 წლის 25 მარტს დაბრუნდა.

სანამ კოსმოსში იყო, საბჭოთა კავშირი დაიშალა და მოსკოვში სამხედრო გადატრიალება მოხდა. კრიკალევისთვის არავის ეცალა, ამიტომ მან, იძულებით, კოსმოსში ყოფნის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

სადგური „მირი“ კრიკალევისთვის სსრკ-ს უკანასკნელ ნაწილად იქცა. მისი მისია ხუთ თვეზე იყო გათვლილი და მომზადებაც შესაბამისი გაიარა. საბჭოთა კავშირის დაშლამ უზარმაზარი დარტყმა მიაყენა კოსმოსურ ინდუსტრიას. სერგეის უთხრეს, რომ ქვეყანას მისი დაბრუნებისთვის საჭირო ფული არ ჰქონდა და კოსმოსურ სადგურზე დაგეგმილზე მეტი დრო უნდა გაეტარებინა. კრიკალევისთვის ეს ამბავი გამოწვევა იყო. სხვა პრობლემებთან ერთად, კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის რისკების შემცველი გახლდათ - კოსმოსური გამოსხივების შედეგად მოსალოდნელი იყო სიმსივნეების გაჩენა და იმუნური სისტემის დასუსტება. დედამიწაზე დასაბრუნებლად არსებობდა კიდევ ერთი ხერხი - სამაშველო კაფსულა, რომელიც კრიკალევს შეეძლო ნებისმიერ დროს გამოეყენებინა, მაგრამ ეს სადგურის განადგურებას გამოიწვევდა. კოსმონავტი იძულებული იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად კოსმოსში დარჩენილიყო. მისი მისია ორჯერ მეტხანს გაგრძელდა - 311 დღე!

რუსეთში ჰიპერინფლაცია დაიწყო. მთავრობამ გაყიდა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა. სადგური „მირი“ ნაწილ-ნაწილ გაიყიდა: იაპონიამ ნაწილი 12 მილიონ დოლარად იყიდა, ავსტრიამ 7 მილიონ დოლარად და ა.შ. სერგეი კრიკალევის გარდა, ეკიპაჟის ყველა წევრი სახლში დაბრუნდა. მისი შეცვლა და დედამიწაზე დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც კოსმოსური სადგურის ერთ-ერთი ნაწილი 24 მილიონ დოლარად გერმანიამ იყიდა და იქ თავისი ბორტინჟინერი გააგზავნა.

სერგეი კრიკალევი დედამიწაზე 1992 წლის 25 მარტს დაბრუნდა. დაშვების შემდეგ კაფსულიდან გამოვიდა მამაკაცი, რომელსაც სკაფანდრზე СССР ეწერა და ხელში საბჭოთა კავშირის დროშა ეჭირა. მოხსენებებში ეწერა, რომ კოსმონავტი ფერდაკარგული იყო და დაქანცული ჩანდა. მას კაფსულიდან გადმოსვლაში ოთხი ადამიანი ეხმარებოდა.

კრიკალევი უკანასკნელი კოსმონავტი იყო, რომელმაც კოსმოსში გაფრენის შემდეგ საჩუქრად ავტომობილი „ვოლგა“ მიიღო. ორი წლის შემდეგ მას „რუსეთის გმირის“ წოდება მიენიჭება. მოგვიანებით, ის გახდება პირველი რუსი კოსმონავტი, რომელიც NASA-ს რაკეტით გაფრინდება.

საერთო ჯამში, სერგეი კრიკალევი 6-ჯერ გაფრინდა კოსმოსში, სადაც 803 დღე-ღამე გაატარა.

დღეს სერგეი კრიკალევი 64 წლისაა. მუშაობდა რუსეთის კოსმოსური ინდუსტრიის სხვადასხვა ორგანიზაციებში. არის რუსეთის საავიაციო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1997 წლის ივლისის ბოლოს მირის პროგრამის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგეი კრიკალევმა გამართა სენსაციური პრესკონფერენცია, სადაც ისაუბრა იდუმალი შემთხვევების სერიაზე.

კოსმოსური ინფექცია

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტში დაიწყო მიზნობრივი პროგრამა მიკროორგანიზმების ქცევის შესასწავლად კოსმოსურ პირობებში. მან მიიღო სახელი „ბიორისკი“. ექსპერიმენტების დროს მიკროსკოპული სოკოების სპორები გაიგზავნა კოსმოსში, როგორც ყველაზე მდგრადი მასალა უჰაერო გარემოსა და გამოსხივების მიმართ. ისინი მოათავსეს ლითონის კონსტრუქციებზე, საიდანაც გაკეთდა კოსმოსური ხომალდის გარე გარსი. შემდეგ ნიმუშები ჩაკეტეს ჭურჭელში, რომელიც გამოყოფილი იყო ვაკუუმისგან გარსის ფილტრით. სივრცის პირობებში ამ ნიმუშებმა წელიწადნახევარი გაატარა. როდესაც ისინი დააბრუნეს დედამიწაზე და მოათავსეს საკვებ გარემოში, სპორებმა მაშინვე დაიწყეს ზრდა და გამრავლება. ამის პარალელურად დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ, ექსპედიციის ასტრონავტებს უცნაური დაავადების სიმპტომები დაუფიქსირდათ. ისინი განსაკუთრებით იყო გამოხატული სერებროვში, რომელიც უჩიოდა მუცლის არეში ტკივილს, გულისრევას და მუდმივ სისუსტეს. კოსმონავტმა დახმარებისთვის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტს მიმართა, მაგრამ ექიმებმა ზუსტი დიაგნოზის დასმა ვერ შეძლეს.

მეცნიერები ირწმუნებოდნენ, რომ ატმოსფეროში ფრენის დროს სადგურს „მკურნალობდნენ“. ასეთ მაღალ ტემპერატურაზე ვერც ერთი მიკრობი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ მათ აღიარეს: ნულოვანი მიზიდულობით მუტირებული ფორმები ბოლომდე უცნობია. თუ კოსმოსური მიკროორგანიზმები გადარჩა დატბორილ სადგურზე, არსებობს თუ არა საფრთხე, რომ წყლის სიღრმიდან დედამიწაზე მოვა უცნობი ინფექცია?

ორი წლის წინ ბევრმა მედიასაშუალებამ გამოაქვეყნა ინფორმაცია ISS—ის გარე სტრუქტურებში ზოგიერთი მიკროორგანიზმების კვალის სენსაციური აღმოჩენის შესახებ. უფრო მჭიდრო შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს ორგანიზმები პლანქტონია, რომლებიც რაღაც უცნობი საშუალებით მოხვდნენ სადგურის გარსაცმზე. ასტრობიოლოგებმა, რომლებიც კოსმოსში ცხოვრებას იკვლევენ, წამოაყენეს თეორია, რომლის თანახმად, პლანქტონები მიჰყავდათ კოსმოსურ ხომალდზე. მრავალი ჰიპოთეზის თანახმად, რომელიც მრავალი წლის წინ გამოხატა ბრიტანული სამეცნიერო ფანტასტიკის პატრიარქმა ბრაიან ალდისმა რომანში „დედამიწის გრძელი ბინდი“, მიკროორგანიზმები მუდმივად ადიან ათი კილომეტრით ზემოთ და ათასობით კილომეტრს გადიან. ამის მიუხედავად, „მირის“ სადგურთან დაკავშირებული პლანქტონის ფორმის საიდუმლოებები არასოდეს განმარტებულა. „მირის“ სადგურის უცნაურ განადგურებას თურმე ახსნა აქვს. კვალი სასწრაფოდ უნდა დაფარულიყო და საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად გამოიყენებოდა ლეგენდა. საერთოდ, როგორც პოპულარულ სერიალში ამბობენ, სიმართლე სადღაც ახლოსაა. ჩეხმა ასტრონავტიკის ისტორიკოსმა კარელ პაზნერმა ყველაზე გაყიდვად წიგნში „საიდუმლო რბოლა მთვარისკენ“ გააჟღერა, რომ მისი აზრით, სადგურის ნაჩქარევი განადგურების მიზეზები ის იყო, რომ სადგურზე დაგროვდა მრავალი უნიკალური მასალა. კვალი სასწრაფოდ უნდა დაფარულიყო და საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად გამოიყენებოდა ის ლეგენდა, რომელიც ალბათ საჭიროდ მიიჩნიეს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

მეუღლე ნათელა ჯანაშვილი; შვილები: ალიკა და მამუკა ჯანყარშვილები,დისშვილი ნანა ჯანყარაშვილი ოჯახით, ცოლისძმა სოსო, ცოლისდა ნიაზი ჯანაშვილები, ბიცოლა ნაზო იაკობიშვილი,ბიძაშვილები იუწყებიან

ჯემალ ჯანყარაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძა 30 ოქტომბერს, 13.00 საათზე, დედოფლისწყაროში.

ქ. დედოფლისწყაროს საშუალო სკოლის 1960 წლის კურსდამთავრებულები: თამაზ ჯანიაშვილი, ფიქრია ალიკოშვილი, ნანა შანშიაშვილი, იგული ნასრაშვილი, ლია ზურაშვილი, ნანა გონაშვილი იუწყებიან თანაკლასელის

ჯემალ ჯანყარაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნიაზი ჯანაშვილს სიძის

ჯემალ ჯანყარაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ შირაქის რედაქცია და ყოფილი სტამბის თანამშრომლები იუწყებიან სტამბის თანამშრომლის

შურა ბენაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებთ მის ქალიშვილს შორენა ნატროშვილს.

შვილი შორენა ნატროშვილი, ძმა უშანგი, და ნორა; ძმისშვილები: ემზარი, ლალი, დისშვილები ანგელინა ღორაშვილი, დისშვილის ცოლი თამარ პოპიაშვილი, და ახლობლები ოჯახებით იუწყებიან

შურა ბენაშვილის

გარდაცვალებას; დაიკრძალა 24 ოქტომბერს, ზემო მაჩხაანში.

ნაზი მოსაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს შორენა ნატროშვილსა და ანგელინა ღორაშვილს დედისა და დეიდის

შურა ბენაშვილის

გარდაცვალების გამო

ნაირა გორაშვილი და ნია მელაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ირინა მერაბიშვილს მამის

მორის ბერაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

ლამარა ჭუჭულაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ირინა და დოდო მერაბიშვილს მამის და მეუღლის

მორის მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

რატომ არ იცრეცა ხალხი?...

კორონავირუსის ეპიდემიის შესაჩერებლად აუცილებელია, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი აიცრას, თუმცა, NDI-ის გამოკითხვა აჩვენებს, რომ აცრაზე ამდენი ადამიანი თანახმა არაა.

რა მიზეზებით იკავებენ თავს საქართველოში აცრისგან და შეიძლება თუ არა მოსახლეობის სკეპტიკური განწყობის შეცვლა?

„აცრა და რისკფაქტორები“, „არა სავალდებულო აცრებს“, „აცრებით დაზარალებულთა ჯგუფი“ - ასეთ ფეისბუქგვერდებსა და დახურულ ჯგუფებს, სადაც ძირითადად აცრების „მავნებლობაზეა“ საუბარი, ათასობით გამომწერი ჰყავს. ამ გვერდებზე თავმოყრილია თვალსაზრისები ვაქცინაციაზე, როგორც ჯანმრთელობისთვის საზიანო პრაქტიკაზე. საპირისპირო კამპანია კი ნაკლებად მოჩანს სოციალურ ქსელებსა თუ სხვა მედიასაშუალებების მხრიდან.არადა, დრო არ ითმენს.ყოველდღიურად საგრძნობლად იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი, ამის პარალელურად კი ქვედა მრუდისკენ მიემართება აცრილთა რაოდენობა, რომელიც, თუ აგვისტოში დღიურად 25 ათასსაც აღწევდა, ახლა ათას კაცზე ჩამოვიდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყველაფერი ეს კი ერთად აღებული, იწვევს მაღალ სიკვდილიანობას, ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას და მომავალი თაობების უპერსპექტივო მომავალს. საშინლად დამთრგუნველია, ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მშობლისთვის, იმის ყურება, თუ როგორ ნადგურდება და უკან იწევს დისტანციური სწავლის შედეგად გამოწვეული ჩვენი შვილების სწავლა-აღზრდის პროცესი, რის მომცემია იგი საბოლოო ჯამში და რას ვთავაზობთ ჩვენს ბავშვებს საკლასო ოთახების საგაკვეთილო პროცესის საპირწონედ, მაშინ, როდესაც უკვე გვაქვს საშუალება სრული და კომფორტული ვაქცინაციის პროცესისა ქვეყანაში, გვაქვს საშუალება, საგრძნობლად შევამციროთ ინფიცირების პროცენტული მაჩვენებელი და ჩვეულ რიტმში გავაგრძელოთ ცხოვრება. ჩვენ ამ საკითხზე აზრი ჩვენი გაზეთის ერთგულ რესპონდენტებსაც ვკითხეთ:

ლაურა ემრაშვილი, **ექიმი:** „იტალიაში მედ.პერსონალს მესამე დოზაც გაუკეთდა, ე.წ. ბუსტერი, რომელიც მე ჯერ არ მეკუთვნის. აქ მოსახლეობის დიდი ნაწილი აცრილია. სამსახურები სთხოვენ ან აცრის ბარათს, ან ყოველ 48 საათში გაკეთებული, უარყოფითი ტესტის პასუხს, (რაც ფასიანია და თვეში 200 დან 250 ევრომდე ჯდება).. დახურულ ბარებში, რესტორნებში ითხოვენ იგივეს.. ასევე სახელმწიფო სტრუქტურებშიც. შემოსავლების სამსახურში მივედი, დაზღვევის გასაკეთებელი ცნობა მინდოდა და იგივე მოითხოვეს.. მოკლედ, არაა აცრა სავალდებულო, მაგრამ გზღუდავენ ყველგან და იძულებული ხარ, აიცრა. კი არის გამოსვლები, მიტინგები, მაგრამ ახლა აზრი არ აქვს ამას, რადგანაც მოსახლეობის დიდი ნაწილი აცრილია. მათი კითხვები ასეთია: ა). როგორ ვენდოთ ვაქცინას, რომელიც ახალი შექმნილია და ფაქტიურად გამოცდას ატარებენ ადამიანებზეო...(კომპეტენტურ პირებს ამაზე შეუძლიათ გასცენ, დელიკატური და დამაჯერებელი პასუხი, ადამიანებს). მაგრამ არა! ბ). თუ ეს ვაქცინაა, რატომ არ გვიცავს დაავადებისაგან-ო?(არც ამაზე სცემენ ამომწურავ პასუხს). გ). ვინ მოგვცემს გარანტიას ვაქცინაციის შემდეგ ხანმოკლე ან ხანგრძლივი დროის შემდგომი გართულებების თაობაზე-ო. დ). ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნის და დაძალებით არ ავიცრითო.(აქაც შესაძლო იყო, თავიდანვე ჩაერთოთ, იმუნოლოგები და ფსიქოლოგები, რომ მოსახლეობა, ისედაც თავგზა აბნეული იყო,პანდემიისა და ლოკდაუნის გამო). იგივეს ვხედავ აქედან, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს დაახლოებით საქართველოშიც, ოღონდ ჯერ არ არის გამკაცრებული ბოლომდე, სავალდებულო ტესტირების სისტემა და კოვიდ ბარათის წარდგენა, რასაც ჩვენთან უკვე ყველა დაწესებულებაში შესვლისას ითხოვენ. საბოლოო ჯამში, მსოფლიოს ერთი პრობლემა უდგას დღეს

და ამისთვის , ჩემი აზრით, ნდობის მეტი მანდატია საჭირო, მეტი კამპანია, მეტი განათლება...

სალომე ნატროშვილი, **ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა მკვლევარ-ანალიტიკოსი:** „ზოგადად პანდემია თავისი დამარღვეველი შედეგებით ომის ტოლფასად მიიჩნევა და ხშირად პარალელი სწორედ ომთან კეთდება ხოლმე. ის გვართმევს ადამიანის სიცოცლეებს. დღეს სამედიცინო სექტორში სწორედ რომ ბრძოლა მიმდინარეობს ადამიანების სიცოცხლისგან გადასარჩენად. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეები. პასუხისმგებლობა კი თანაბრად რომ ნაწილდებოდეს, ახლა ეს პრობლემა არ გვექნებოდა. ის უწყებები და მათი მენეჯერები, ვისი ვალდებულებაცაა საზოგადოების სწორი ინფორმირება, ძალიან მდორედ და არათანმიმდევრულად მოქმედებდნენ და ასეც აგრძელებენ აქამდე, არ მიაქვთ რა ყველა შესაძლო რესურსით (მედია, საგანმანათლებლო და პიარკამპანია) ფართო მასებამდე სიტუაციის რეალური სურათი და ინფორმაცია აცრების, როგორც პანდემიის დასრულების ერთადერთ გამოსავალზე- მინიმალური დანაკარგით, მის ეფექტურობაზე. არ ამსხვრევენ მითებს ამ იარაღიდან მომდინარე მინიმალურ ზიანზე აცრილის მიმართ, რაოდენ განუზომლად მომგებიანია შედეგი, რადგან აცრის შემთხვევაში საქმე ეხება გადარჩენილ სიცოცხლეს, მისგან თავის შეკავება კი კიდევ ერთ სიკვდილს, რომელიც შესაძლოა თავიდან ყოფილიყო აცილებული. სწორედ რომ, მსგავსად ომისა, სადაც სხვადასხვა საბრძოლო საშუალება არსებობს და მათი გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია, ახლა აცრაა ერთადერთი ეფექტური იარაღი, რომელსაც შეუძლია სიცოცხლეების გადარჩენა, მაგრამ რეალურად რა გვაქვს? ეს იარაღი აწყვია და ვადა გასდის, ჩვენი თანამოქალაქეები კი იხოცებიან.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

აფხაზური ენის დღე – 27 ოქტობერი!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აფხაზური ენის დღე მიულოცა „სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით, აფხაზური საზოგადოების წარმომადგნელებს, ვისთვისაც აფხაზური ენა მშობლიურია“. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, აფხაზური ენა, კულტურა და ტრადიციები საერთო, მრავალფეროვანი კულტურის შემადგენელი ნაწილი და სიმდიდრეა, ქართულთან ერთად, აფხაზური ენა საქართველოს კონსტიტუციითაა დაცული და სახელმწიფოს მისი შენარჩუნების და განვითარების განსაკუთრებული ვალდებულება აქვს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახმად, აფხაზეთის რეგიონის ოკუპაციისა და მიმდინარე რუსიფიკაციის უკანონო პოლიტიკის პირობებში აფხაზური ენა გაქრობის სერიოზული საფრთხის წინაშე დგას: „საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს მისი გადარჩენისა და დაცვის, განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. აფხაზური კულტურული იდენტობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ენის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია რომ ჩვენი ძალისხმევა იყოს ერთიანი და მეტი ახალგაზრდა დავაინტერესოთ ამ უნიკალური ენის შესწავლით. ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ მშვიდობიანი მომავალი გამთლიანებულ ევროპულ სახელმწიფოში. Еицыҳахьчап аҧсуа бызшәа - ერთად დავიცვათ აფხაზური ენა”.

ისტორიული რაკურსი

ჯერ კიდევ საუკუნის წინ, უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა დაიწყეს აფხაზური ენის განვითარებასა და მეცნიერულად შესწავლაზე ზრუნვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918 წელს გამართულ პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილი კავკასიური ენების შესწავლის სამეცნიერო მნიშვნელობაზე საუბრობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი ჯერ კიდევ მაშინ ამბობდა, რომ კავკასიური ენების, მათ შორის, აფხაზური ენის შესწავლას, გარდა დიდი სამეცნიერო მნიშვნელობისა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. 1918 წელს, პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზური ენის სწავლებისთვის მოიწვიეს პეტრე ჭარაია, 1925 წლიდან კი ამ მისიას აგრძელებდნენ დიდი მეცნიერები: დიმიტრი გულია და სიმონ ჯანაშია.

აფხაზური ენა – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღური ჯგუფის აფხაზურ-აბაზური ქვეჯგუფის ენაა. აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ საქართველოსა (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) და თურქეთში. საქართველოში ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი შეადგენს დაახლ. 101.000 კაცს. თურქეთში აფხაზურ ენაზე მოსაუბრეთა ზუსტი რიცხვის დადგენა თურქეთის რესპუბლიკაში არსებული არასაკმარისი დოკუმენტაციისა და ნაკლებად სანდო სახალხო აღწერის გამო, ძნელია. აფხაზურენოვანი მოსახლეობის შესახებ არსებული ოფიციალური და არაოფიციალური რიცხვობრივი მონაცემები მეტად საეჭვოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, ეს რიცხვი მერყეობს 4000-დან 39 000 კაცამდე. აფხაზური ენის კუნძულად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიაზევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გადმოღმა აჭარის ერთერთ მუნიციპალიტეტსა და ასევე სირიაში არსებული რამდენიმე აფხაზურენოვანი დასახლებული პუნქტი.

ეთნონიმი „აფხაზი“ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ქართული წარმოშობის სიტყვა უნდა იყოს და სხვა ხალხთა ენებშიც ქართულიდან უნდა გადასულიყო (მაგ., ოსურად Абхази, ბერძნულად Αμπχαζία, რუსულად Абхазия, ინგლისურად Abkhazia, გერმანულად Abchasien, თურქულად Abhazya, არაბულად أبخازيا, სპარსულად آبخاز). რაც შეეხება სპარსულ წყაროებს, აღსანიშნავია ერთი დეტალი: X საუკუნის საქართველოში უმოგზაურია ცნობილ სპარს პოეტს აბუ მანსურ მუჰამად იბნ აჰმად დაყიყის, რომელიც საქართველოს აფხაზეთად მოიხსენიებს. დღევანდელი ცნობით აფხაზურ ენას აქვს ხუთი დიალექტი. ესენია: ბზიფური, აბჟუური, ნებელდური, სეძური და ახჩიფსური. აქედან ორი (ბზიფური და აბჟუური) დიალექტი გვხვდება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი სამი კი გვხვდება, მხოლოდ თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირებს შორის.

პირველი აფხაზური ანბანი 1862 წელს სლავურ-კირილური დამწერლობის საფუძველზე შეიმუშავა ბარონმა პეტერ ფონ უსლარმა, რომელიც 37 ასოსაგან შედგებოდა, მაგრამ 1905 წლიდან გრაფიკული ნიშნების რაოდენობა 55 ასომდე გაზარდეს. ცოტა უფრო მოგვიანებით ნიკო მარი შეეცადა კიდევ უფრო სრულეყო ეს დამწერლობა, მაგრამ მან ლათინურ ანბანზე დაყრდნობით შექმნა კიდევ ერთი, ახალი ნაირსახეობა, რომელიც 75 ასო-ნიშანს მოიცავდა. ლათინურ ანბანს აფხაზები 1926-დან 1928-წლამდე იყენებდნენ. 1937 წელს ქართული ანბანის საფუძველზე შემოიღეს აფხაზური დამწერლობა, მაგრამ ქართველებისაგან დისტანცირების სურვილის გამო აფხაზები 1954 წელს ისევ კირილიცას დაუბრუნდნენ. ქართული ანბანის შემოღების ეს ფაქტი ხშირად გამხდარა აფხაზთა მიერ ქართველთა მიმართ საყვედურის მიზეზი, კერძოდ ბევრი აფხაზი ამ ისტორიულ ფაქტში გაქართველების მცდელობას ხედავს. თუმცა რამდენად უწყობს მათ ხელს საკუთარი ეროვნული სახის შენარჩუნებაში კირილური ანბანის (ე.წ. გრაჟდანკას) გამოყენება, უცნობია. საბოლოო ჯამში ენათმეცნიერები, რომლებიც სხვადასხვა დროს აფხაზური ანბანის შექმნაზე ზრუნავდნენ, იყვნენ პეტერ ფონ უსლარი, დიმიტრი გულია, კონსტანტინე მაჭავარიანი, ალექსეი ჭოჭუა და ნიკო მარი.

აფხაზური ენის შესახებ არსებული პირველი ცნობები, რომლებიც დღემდე შემოინახა XVII საუკუნის ცნობილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების (Evliya Çelebi) ეკუთვნის. ევლია ჩელები თავის მოგზაურობას 1640 წელს შესდგომია და დაუსრულებია 1670 წელს. მას მოუვლია ყირიმი, რუმელია, ავსტრია, ალბანეთი, კრეტა, დალმაცია, თესალონიკი, აზერბაიჯანი, საქართველო და თავისი შთაბეჭდილებები ერთ წიგნად შეუკრავს, ხოლო წიგნისთვის კი „სეაჰათნამე“ (სამოგზაურო წიგნი) უწოდებია. მოგზაურს გარდა ზოგადი ცნობებისა არაბული ასოებით ჩაუწერია ზოგი აფხაზური სიტყვა. აფხაზური ენა ახალგაზრდა სამწერლობო ენაა. 2007 წლიდან საქართველოში აფხაზური ენის დღე 27 ოქტომბერს აღინიშნება. 2011 წელს, იუნესკომ აფხაზური შეიტანა გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ენების ნუსხაში. ოკუპირებულ აფხაზეთში ძირითადად, რუსულად საუბრობენ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.11	სამშაბათი 02.11	ოთხშაბათი 03.11	ხუთშაბათი 04.11	პარასკევი 05.11	შაბათი 06.11	კვირა 07.11
დღე	15°	17°	17°	12°	10°	11°	11°
ღამე	4°	7°	7°	7°	5°	3°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.